

# რეალური

№ 7 (81) 1.07.2016 - 1.08.2016 გვ. 2 ლარი

შოთა რეალური გამოცემა




ვ. 2

შეორის ფართი სასოფლო  
გაზოვების გაცემაზე  
დამატებითი ინიციატივი  
დაიცვალა უკანი


ვ. 3

გზა, რომელიც  
რაჭაში მიაგინოს  
გაციტარებას  
მარცხნის ხალც


ვ. 4



ვ. 8



ვ. 22



ვ. 36



ვ. 33



ვ. 28

ISSN 1512-150X  
9 71512150002

# მსახიობი და ტეატრისტი პოლიკარპი, რომელის ცისკარიც საქართველოდან მტბინდება

## ბეჭა სიხარულიძე

ქახოვი მახტო ენა?  
ქახოვი ქახოვები ჩნდენა,  
ბერი, ბერისწერა  
მზე ხო, იმორენა!

სწორედაც, რომ მზისოდენაა ქართველობა, რომელიც მსოფლიოს ნებისიერი კუთხით კაშკაშებს, ანათებს და ბრნინავს. ქართული სულით, გულით, გრძნობით და გონიერი ცხოვრობს სულით ხორცამდე ქარველი მსახიობი და რეჟისორი ბექა სიხარულიძე პოლივუდში. უცხო მიწაზე ღირსეულად სწერებს ქართული სისხლი, საქმეს ქართულად აკეთებს, ოჯახი ქართული შექმნა და ყოველი დღის ცისკრის ვარსკვლავი მისთვის საქართველოდან ბრნინდება. ბექა წლების მანძილზე ლოს-ანედელებში ცხოვრობს, მაგრამამერიკის პატივისცემის მიუხედავად როგორც დიდი აკაკი იტყვოდა, „გულს ასვენია ქვეყანა“. ამიტომ ღვთისმშობელმა მისი ნილხეველი მინიდან აფრენილ ახალგაზრდა შემომქმედს გზა დაულიცა და უფლის შეწევით დღეს იგი პოლივუდის შემდგარი მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერია.

მაშა ასე, რუბერიკის სტუმარია ბექა სიხარულიძე.

— ბატონი ბექა, როგორც ვიცით თქვენ მიერ გადაღებულმა მოელემეტრაჟიანმა ფილმმა ამერიკაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალებში 7 გამარჯვება მოიპოვა, მოლოდინი იმისა, რომ თქვენი რეჟისურით კვლავ არაერთ საინტერესო ფილმს უნახავთ, დიდია. რას აპირებთ მომავალში?

— ფიახ, ჩემმა გადაღებულმა ფილმმა „პაპუს მევალე“, რომლის სცენარიც მამაჩემის მოთხოვნის „პაპუს მევალეს“ მიხედვით მე თვითონ დავწერ, ამერიკის სხვადასხვა შტატებში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალებში 7 გამარჯვება მოიპოვა, რისთვისაც ამერიკის კინომატიკირაფიის შესვეურების და ფიურის წევრების დიდი მადლობელი კარ. ამავე დროს „ევროპანალმა“ ჩემი ფილმი ორი ნლით შეისყიდა და მას ახლა მთელი მსოფლიო უფრენებს.

რა თქმა უნდა ამ გამარჯვებებმა დიდი სტიმული მომცა შემდგომი ჩემი მოლვანებისა კინოსამყაროში.

დეკემბერში ვაპირებ ჩემი ახალი სცენარის მიხედვით სრულმეტრიკიანი მხატვრული ფილმის გადაღებას.

— გადაღება სად იქნება?

— ვფიქრობ გადაღებები გაიმართება თბილისში.



ბექა სიხარულიძე  
პოლივუდში

— რაც შეეხება მსახიობებს, თუ გვავთ შერჩეული მთავარი როლის შემსრულებლები?

— რა თქმა უნდა მყავს. მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება როლები გადანანილდეს. ჯერ-ჯერობით არცერთი მსახიობი როლზე საბოლოოდ დამტკიცებული არ მყავს. ვნახოთ რა მოხდება მომავალში.

— ამის გარდა, რა სიახლეა თქვენს ცხოვრებაში?

— სულ ცოტა ხანში იწყება ახალი მხატვრული ფილმის გადაღება სტალინზე. პოლივუდის ორმა პროდიუსერმა შემომთავაზა აღნიშნული ფილმის პროდიუსერობა და ერთ-ერთი როლი. თავიდან უარი ვთქვი, რადგან არასდროს მინდოდა მიმეღლ მონანილება ისეთ პროექტში, რომელიც ქართველ ადამიანს უარყოფითად ნარმოაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოლიტიკოსის მიმართ ნაყენებული ბრალდებების 80%-ს ვიზიარებ. მაგრამ როდესაც გავიგვი, რომ სრულიად სხვა შინაარსის სცენართან მქონდა საქმე, სადაც მხოლოდ მისი ბავშვობაა აღნერილი, შემოთავაზებას დავთანხმდი.

სულ მაღალ დავიწყებ ამ ფილმის გადაღებას, ამერიკელ პროდიუსერთან და კინორეჟისორთან ერთად.

გადაღებები იქნება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე საქართველოში, სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში.

— გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის. გისურვებთ ნარმატებებს.

# სარჩევი

	”ვგეგმავთ რაჭის განვითარების მიმართულებით ახალი გზის აშენებას, რომელიც გომსა და რაჭას დააკავშირებს“ — გიორგი კვირიკაშვილი ..... 2
	შაორის ტბაზე სასტუმრო ბიზნე- სის განვითარებით რამდენიმე ინ- ვესტორია დაინტერესებული.... 3
	გზა, რომელიც რაჭაში ტუ- რიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს ..... 4
	<b>მიხეილ ალავიძე</b> აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩებუმში ..... 5
	<b>ზაური ხიდეშელი</b> ქორწილი ვლადიკავკაზში ..... 8
	უცნობი ფაქტები სტალინის ცხოვრებიდან ..... 10
	<b>სოფიო ჩანქელიანი</b> სიყვარული უფალია თავად ..... 15
	<b>ექვთიმე თაყაიშვილი</b> არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში ..... 16
	<b>სერგი მაკალათია</b> მთის რაჭის გეოგრაფიულ- ისტორიული მიმოხილვა ..... 19

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რახევიაშვილი**  
ტელ: 599 74 68 10  
დამფუძნებელი —  
**გორგა გულაშვილი**  
ტელ: 599 53 58 94  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დალი ჯვარშვილი**  
ტექსტი ააწყო  
თამარ გოგიანავა  
კორექტორი  
**ქათევან ნახევარია**  
მისამართი: თბილისი, ლესელიძის  
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10  
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ძვირფასო მკითხველო!  
გაცნობეთ, რომ რედაქციაში შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

## ნინო რებეკაშვილი

	ცხოვრების შემოდგომა აპოლონ ჩიჩხაშვილი ..... 22
--	---

## გივი სიხარულიძე

	ღვთის შვილები ..... 26
	ხიბლია და ნიბლია ..... 27

## ნინო რებეკაშვილი

	ოჯახი, სადაც სიყვარულის ჰიმნი დაიწერა ..... 28
	რა უნიკალური თვისება აქვს ქართულ თაფლს და რამდენად მომგებიანია ეს ბიზნესი ..... 32

## გია ბერიშვილი

	<b>დავით ჯაფარიძე</b> ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ..... 33
--	--

## გივი ლობუანიძე

	საქართველოს პატრიარქის, უნინდესისა და უნეტარესის სტუმრობა ღებში ..... 36
	სრულიად საქართველოს ამცნობს ..... 38

## ეკატერინე ჭიჭინაძე

	ნარუვალია მხოლოდ სახელი — ირინა გოცირიძე ..... 40
--	--

ჟურნალი “რაჭელები” ემიგრანტ

რაჭელებს და არა მარტო მათ,  
გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს —  
გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,  
რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს  
მონაცემების ქვეყნას, ოჯახებს და ამავე  
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!



**„ვგეგმავთ რაჭის  
განვითარების  
მიმართულებით  
ახარი გზის აშენებას,  
რომელიც გომსა და  
რაჭას დააკავშირებს“**

## გიორგი ქვირიკაშვილი

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ქუთაისი საქართველოს შიდა ჰაბად უნდა იქცეს, რომელიც ყველა წერტილთან იქნება დამაკავშირებელი. როგორც გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, მიმდინარე წელს რიკოთის რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაკვეთის გახსნა იგეგმება.

„ჩვენ ვგეგმავთ, რომ წელს გავხსნათ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რიკოთის მონაკვეთი, ანუ ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთი. უკვე დაწყებულია ამ პროექტზე ძალიან აქტიური მუშაობა და სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში დაიწყება უკვე რეალური მშენებლობითი სამუშაოები. ამას გარდა 2020 წლის დასასრულისთვის და ეს ასე არ იყო დაგეგმილი ნამდვილად, ჩვენ ვგეგმავთ, რომ უმთავრესი არტერიები საქართველოსი იქნას დასრულებული. ამ პერიოდისთვის მოგეხსენებათ, რომ ანაკლიის პორტის პირველი ფაზაც დასრულებული იქნება და აღმოსავლეთ-დასავლეთით, ჩრდილოეთ - სამხრეთით ძირითადი მაგისტრალები დასრულდება. ამ პერიოდისთვის ასევე იქნება დასრულებული ძირითადი ტურისტული მიმართულებების დამაკავშირებელი გზები და ეს არის სვანეთისკენ მიმავალი გზა თავისი გვირაბებით; ეს არის ქუთაისი-აბასთუმნის გზა. ქუთაისი ჩვენ უნდა ვაქციოთ საქართველოს შიდა ჰაბად, რომელიც იქნება დამაკავშირებელი ყველა წერტილთან. ჩვენ ასევე ვგეგმავთ ძალიან მნიშვნელოვანი ახალი გზების პროექტირებას. უკვე წელს დავიწყებთ პროექტირებას მთა-თუშეთში მიმავალი გზისა, ვინაიდან, ამას გაჩნია ძალიან მრავალმხრივი დანიშნულება — ეს არის უსაფრთხოების მიმართულებით, ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიმართულებით

უმნიშვნელოვანესი რეგიონი. ვგეგმავთ რაჭის განვითარების მიმართულებით ახალი გზის ახალიას, რომელიც გომსა და რაჭას დააკავშირებს. ეს ყველაზერი მოიტანს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვან სტიმულს განვითარებისა,“ - აღინიშნა პრემიერ-მინისტრი.

გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მთავრობის მიერდაგებები პროექტებში აქტიურად ჩატარდება კერძო სექტორი და საქართველო რეალურად შეძლებს, შეასრულოს აბრეშუმის სარტყლის” შემადგენელი, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნის ფუნქცია.

„ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობა და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მთავრობის სახელით მსოფლიო ბანკს, სხვა ინსტიტუტებს რომლებიც არიან ჩართულნი ამ უმნიშვნელოვანეს პროექტებში. კომპანია „ბლექ სი გრუპის“ წარმომადგენლები იმყოფებიან აქ და ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მათ, მართლაც, უმაღლესი ხარისხით შესრულებული სამუშაოსთვის. საერთოდ უნდა ვთქვა, რომ კერძო სექტორის ჩართულობა უნდა იყოს უფრო მაღალი ასეთ პროექტებში. ჩვენ ახლა დაწყებული გვაქვს ძალიან ბევრ პროექტზე ერთდროულად მუშაობა დიზაინზე და წინასწარ კვლევებს ვატარებთ, მომავალი წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის ამ სამუშაოს დიდი ნაწილი გვექნება დასრულებული და ერთად დაიქოქება ძალიან ბევრი პროექტი. სწორედ ეს იქნება ნამდვილად საქართველოს, როგორც „აბრეშუმის სარტყლის“ შემადგენელი ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნის ფუნქციის სრულად ათვისების წინაპირობა, “განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



# შათრის ცემაზე სასცენტრო მიზნების განვითარებით რამდენიმე ინუსცორია ღაინცერაჟემული

რაჭის გუბერნატორის განცხადებით, რაჭა საკმაოდ პერსპექტიული რეგიონია სასტუმრო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით. როგორც პაპუნა მარგველიძე „ბიზნესკონტაქტთან“ აცხადებს, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინვესტორები გეგმავენ შაორზე სასტუმროების კომპლექსი განვითარონ. ამ დროისთვის შაორზე უკვე მიმდინარეობს ადგილობრივი ინვესტიციით 21 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც მომავალი წლისთვის დასრულდება. პროექტზე ადგილობრივი ბიზნესმენი 2 მილიონ ლარამდე დახარჯავს, რაშიც მოიაზრება ასევე კოტეჯების დამატებაც. როგორც პაპუნა მარგველიძე განმარტავს, შაორზე სასტუმრო ბიზნესის განვითარებით ასევე „თი ბი სი ჯგუფი“ და არაბი ინვესტორები არიან დაინტერესებული, რომლებიც შაორზე საკმაოდ დიდი მცულობის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ. სასტუმროების გარდა საუბარია შაორის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნების, საცხენოსნო კლუბის, გოლფის მოედნის და სხვა გასართობი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე.

რაჭის გუბერნატორის თქმით, შაორს ტბაზე არსებული თითქმის ყველა სახის კომუნიკაცია მოწესრიგდა.



„შაორის ტბაზე იყო გზისა და ელექტროენერგიის პრობლემა, რაც უკვე მოგვარდა. გამოვიყვანეთ წყლის სისტემაც. მზად ვართ შესაბამისი ნინადადების არსებობის შემთხვევაში მოვაწესრიგოთ გზაც. ასევე ჩვენ უკვე დავიწყეთ 15 კილომეტრინი გზის მშენებებლობა შოვის მიმართულებით. ასევე მომავალი წლიდან დაიწყება საჩერე-რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონში ტურიზმის განვითარებას“ - აცხადებს რაჭის გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე.

# გზა, რომელიც ჩატაში უკრიზას განვითარებას გაუცყოს ხელ

2017 წლის ბიუჯეტისთვის  
შორის მიმღებობათ  
მოხსენერებული გვა გვერდის

„რაჭაში, ტურიზმის განვითარების პოტენციალი საკმაოდ დიდია. მისი ათვისებაა საჭირო, ხოლო იმისთვის, რომ ტურიზმი განვითარდეს, პირველ რიგში მოსაწესრიგებელია ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი ინფრასტრუქტურა.

რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა არსებობს, სადაც ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებების განვითარება დეტალურად არის განერილი.

რაჭაში ბევრი ისტორიულ-კულტურული  
ძეგლია, სადაც მისასვლელი გზა არ იყო, ახლა  
დავიწყეთ კეთება. სოფლებში დენისა და წყლის  
მიყვანაა საჭირო, რის შემდეგ, სასტუმროების  
ქსელის გამართვა და რაჭაში, ლეჩხუმში და ქვემო  
სვანეთში არსებული პოტენციალის  
პოპულარიზაცია უნდა დავიწყოთ", -  
განაცხადდა მარგველიძე.

გუბერნაციონის თქმით, რაჭაში,  
ლეჩხეუმში და ქვემო სვანეთში, რამდენიმე  
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.  
ასევეა ეკლესიები, თავდაცვითი  
ნაგებობები, ბუნების ძეგლები,  
რომელსაც უნიკალური ლანდშაფტი აქვს,  
სადაც ტურისტს შესაძლებლობა აქვს  
ბევრი რამე ნახოს.

სტრუქტურის მშენებლობა დაწყებულია. ახლაც არის რამდენიმე სანატორიუმი, მათ შორის თანამედროვე სტანდარტების, რომელსაც ყოველწლიურად ბევრი დამსვენებელი ჰყავს. იქ არამხოლოდ უნიკალური წყლები, არამედ ბალნეოლოგიური დანიშნულების ადგილებია. ფიჭვია გარშემო, რაც განსაკუთრებით მათთვის არის კარგი, ვისაც ბრონქების პრობლემა აქვთ.

რაჭაში ასევე არის კურორტი უნერა, რომელიც უნიკალური მინერალური წყლებით არის ცნობილი. ლეჩხუმში ლაშიფალა, ცულური. ლენტეხში მოაში, სადაც გზისა და დენის პრობლემა იყო. გზის კეთება დავიწყეთ. ვფიქრობთ, წლის ბოლოს დენიც მივა”, -განაცხადა მარგველიძემ.





მისამართი ალაზანი

# კაკი რაჭაშვი მოგზაურობა ასკა-ლეჩევაში

აკაკი წერეთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხშირი სტუმარი იყო. მას ყველგანუსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდა ხალხი.

1912 წლის ზაფხულში აკაკიმ რაჭა-ლეჩევაში იმოგზაურა.

მგოსანს თანამგზავრებად ახლდნენ: მწიგნობარი სოსიკო მერკვილაძე, მოგზაურობის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარე მუშა იობა ისაკაძე, მომვლელი კოტე აბდუშელიშვილი, ძმისნული ვასილ წერეთელი; ქუთაისიდან მასწავლებლები: ვასილ პეტრიაშვილი, სამსონ დათეშვიძე, იაკობ ვარაზაშვილი, გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორი მიხეილ ჯაფარიძე, კორესპონდენტი ლადო ბზვანელი, კინოპერატორი ვასო ამაშუკელი და ფოტოგრაფი კოტე ქავთარაძე.

შეხვედრა უდიდეს ეროვნულ დემონსტრაციად გადაიცა. ეს ზემო ფართოდ გვამცნობს აკაკის შემოქმედების სიდიადეს და რაც საგულისხმოა, იგი ნათლად ადასტურებს ამ კუთხის ხალხის უებრო სტუმართმოყვარობასა და კულტურის მაღალ დონეს.

ყველანი — ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ერთნაირად აღტაცებული იყვნენ და ცდილობდნენ მოზღვავებული გრძნობა ყოველ მხრივ გამოეხატათ.

აკაკისადმი მიძღვნილი სიტყვები (პროზად და ლექსად) გარეშე მაყურებლებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ეს მხარე დასახლებულია მხოლოდ პოეტებით, მხატვრული სიტყვის ოსტატებით და შევიბრება არის გამართული.

ეს აზრი კერძო საუბარში კიდეც გამოსთქვა დიდმა მგოსანმა.

აქ წარმოთქმულ სიტყვათა უმრავლესობა ნაციონალ-რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, გამოხატავდა პროტესტს მეფის მთავრობის პოლიტიკისადმი მცირე ერების მიმართ, აწმყოსაგან შექმნილ უკაყაფილებისა და ნეტარი მომავლისაკენ მისწაფებას.

ქუთაისა და რაჭა-ლეჩევაშის ძირითად დაბებში შექმნილი იყო კომისიები, რომლებმაც იცოდნენ აკაკისთან შეხვედრის დრო და იმ დღეებისათვის ემზადებოდნენ.

ქუთაისის კომისიამ გადაწყვიტა მოგზაურობა ეკრანზე გადაღებულიყო. ამ მიზნით პედაგოგებმა სამსონ დათეშვიძემ და ლადო ბზვანელმა მიმართეს ქალაქის ე.ნ. კინო „რადიუმის“ მეპატრონებს ტიხონ ასათიანსა და პავლე მეფისაშვილს.

აკაკის გაჰყვა კინოპერატორი ვასო ამაშუკელი, რომელმაც დავალება ენთუზიაზმით შეასრულა.

## აკაკი რაჭაშვი

გამგზავრების წინ თბილისში (ვერის „ედემის“ ბაღში) რაჭველმა მუშებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ, რომელთა თაოსნობით მოეწყო ეს მოგზაურობა, დიდი ბანკეტი გაუმართეს მგოსანს.

მუშა იობა ისაკაძემ აკაკის მიმართა სიტყვით და საჩუქრად გადასცა ოქროს კალამი.

„მთელი თბილისის რაჭველები-თქვა მან, — საერთო აღტაცებით მოგიძლვნით უგულითადეს სალამს და ღმერთსა ვთხოვ დიდხანს გაგრძელებულიყოს თქვენი ბედნიერი სიცოცხლე და ბასრი კალმის მუშაობა საქართველოს კეთილდღეობისა და ზნეობის ასამაღლებლად. პატივისცემის ნიშნად მოგართმევთ ოქროს კალამს. დღეს უაღრეს ბედნიერად ვრაცხთ ჩვენს თავს, რომ აღასრულეთ ჩვენი სურვილი და ინებეთ ჩვენი მოძმების ნახვა.

გარწმუნებთ, როგორც ჩვენ, იქაურები, გაცილების დროს აღტაცებული ვართ, ისე ქუთაისში მყოფი ჩვენი თანამოძმენი, რაჭა-ლეჩებუმის ყოველი მცხოვრები მიგელიან და შეჰერიან თქვენთან შეხვედრის ჟამს, რათა თქვენს გაბადრულ და მაღლიან სახეს ერთი წამით მაინც გადაავლონ თვალი თავიანთ სიცოცხლეში.

ღმერთსა ვსთხოვთ კეთილად გემგზავროთ და კმაყოფილი დაბრუნებულიყოთ თქვენი საყვარელი სამშობლოს ამ კუთხიდან!..“

პოეტმა მაღლობა შესწირა და თქვა: „ჩემი სიმპატია მუდამ მიპყრობილი იყო იმ კუთხისაკენ, რომლის წარმომადგენლებსაც დღეს აქ უხედავ. იგი თავისი საარაკო შრომითა და გარჯით საუცხოო მაგალითს აძლევს საქართველოს დანარჩენ კუთხებს. ეს ძვირფასი კალამი, რომელიც ძღვნად მომიტანეთ, ამტკიცებს ჩემდამი თქვენს სიყვარულს, მაგრამ ეს მარტო მე არ მეკუთვნის. ეს იმისიცაა, ვინაც ჩემ შემდეგ განარძობს ქვეყნის სამსახურს!..“

აკაკის გული აუზყდა, აცრემლდა. შემდეგ განაგრძო: „ნიშანია იმისა, რომ კვლავ ავიღო და ვიხმარო, მაგრამ მე ვეღარ დავწერ მას, რისი შექმნაც მსურდა. დაე, სხვებმა შეასრულონ ეს!..“

ვასილ კერესელიძემ სთქვა: „შოთა გვასწავლის „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ეს ანდერძი აღასრულა სულმნათმა მგოსანმა აკაკიმ, რომლის წინაშე შევკრებილვართ საქართველოს ერთი კუთხის შვილები, დიდი კახაბერის სამშობლოს წარმომადგენლები. თქვენმა ღვთიურმა ნიჭმა მოიხადა საკაცობრიო მოვალეობა. ამისათვის თაყვანსა გცემენ თქვენი ერის შვილები, დიდი კახაბერის სამშობლოს წარმომადგენლები. თქვენმა ღვთიურმა ნიჭმა მოიხადა საკაცობრიო მოვალეობა. ამისათვის თაყვანსა გცემენ თქვენი ერის შვილები, სიკედილამდე შეინახავენ გულში თქვენს ხსოვნას და საშვილიშვილოდ გადასცემენ შთამომავლობას.

ნება მიბოძეთ, თქვენ მიერ შექმნილი ლექსი, რომლითაც ადიდეთ ჩვენი სათაყვანებელი მგოსანი შოთა რუსთაველი, თქვენვე მოგიძლვნათ:

სულმნათო! მაღლი შენს გამჩენს,  
დიდება ერსა, შენს მშობელს  
და ძეგლად სამარადისოდ  
ნეტარხსენება ამ სოფელს!..

„აქ სხვათა შორის,— პრძანა. სახალხო მეჯლისზე მგოსანმა,— გაიხსენეს ჩემი სტრიქონები: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. ეს მე ორმოცი წლის წინათ ვთქვი, როცა ასეთი რამ საფრთხილოც იყო და საეჭვოც. ჩემი წინასწარი ნააზრევი დღეს უკვე გამართლებულია. ახლა რომ დამენერა იგი, ვიტყოდი, აღარ სძინავს, გაიღვიძა— მეთქი. ეს გაღვიძება სიამითა და სიხარულით ავსებს ჩემს მოღალულ არსებას. დიახ, ქართველმა უკვე გაიღვიძა!..“

ლხინის ბოლოს ფერხული შეასრულეს. მგოსანი თამაშში წრის შუაგულში დააყენეს და ორპირი შეძახილით ირგვლივ უვლიდნენ. სიმღერითვე გააცილეს იგი და გზა დაულოცეს.

აკაკი გაემგზავრა. თანმხლებლებმა წაიღის სპეციალურად გამოცემული აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული და სურათები, რომლებიც ხალხს უფასოდ დაურიგეს.

19 ივლისს აკაკი ქუთაისშია. მას რკინიგზის სადგურზე მიეგებნენ. აქ მოისმინეს ქუთაისის კომისიის თავმჯდომარის ვასილ პეტრიაშვილის სიტყვა.

21 ივლისს დილით სასტუმრო „გრანდ-ოტელთან“ დიდაღის ხალხი შეიკრიბა პოეტის გასაცილებლად. აკაკი და მისი თანამგზავრნი ეტლებით გაემართნენ რაჭა-ლეჩებუმისაკენ. გზაზე მათ საჩუქრებით ხვდებოდნენ. ცხენოსანი ახალგაზრდობა სიმღერითა და თოფის საროლით რაზმებად მიჰყებოდა უკვდავ მგოსანს.

ქალაქის განაპირას, ჭომაში სპირიდონ წერეთლის ეზოში საუზმე მიირთვეს.

ოფურჩეთში, ულამაზეს ჩანჩქერთან, პოეტს მგზავრობა დაულოცა ალ. გერსამიამ და ლექსი მიუძღვნა რკინიგზის მუშამ მ. ხომასურიძემ.

განვლეს ნამახვანი, საიდანაც 3 კილომეტრის შემდეგ, მთა „საზღვარზე“, რომელიც იმერეთსა და ლეჩებუმის გამყოფი ულელტეხილია, ამოიკითხეს სუროს ფოთლების ჩარჩოში ჩასმული წარწერა „ლეჩებუმი“.

აქ სოფელ დერჩის საზოგადოების წარმომადგენლებმა სტუმრებს პურ-ლვინო მიართვეს. იასონ ახვლედიანი სიტყვით მიესალმა აკაკის: „ერთი თვეება, რაც შევიტყვეთ, აკაკი მობრძანდებაო. შენი სახელის ხსენებაზე გულიდან რაღაც მძიმე რამ მოგვწყდა, თითქოს ბორკილები

## აკაკი რაჭაშვი

დავამსხვრიეთ და განვთავისუფლდით. აი, ჩვენო დიდებავ, ხალხის გულიდან ამონახეთქი ნამდვილი სიტყვები. თქვენი მქუხარე სიტყვები ამ კლდე-ლრესაც გამოაღვიძებს. ვამა, ჩვენო ჭირისუფალო, რომ თქვენი ენა გახდა სათაყაპებელი. ბედნიერი ხართ, რომ თქვენმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოილო!..“ პოეტი მექენამდის მიაცილეს.

აქ აკაკი სიმღერა-გალობითა და ვარდ-ყვავილების მოფენით სოფლის სამმართველოს ეზოში შეიყვანეს და სავარძელში ჩასვეს.

ასათიანის გოგონამ პოეტს თაიგული მიართვა და „განთიადი“ წაუკითხა.

გამართულ ნადიმს ამკობდა მგრძნობიარე სიტყვები და ქალ-ვაჟთა სიმღერა. აკაკიმ მადლობა გამოთქვა და აღნიშნა: „ლირსი არა ვარ ამდენი ქება-დიდებისა. მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შემისრულებია. ან იმედი მაქვს, რომ უკეთესად მომზადებული ჩვენი შვილები განაგრძობენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას.“

სადილის შემდეგ ქალთა გუნდმა განმორების სიმღერა შეასრულა. პოეტი გაისტუმრეს.

აკაკის მონაბეჭდი ხვამლის კლდოვან მთის ძირში და მის მახლობლად გაშენებული სოფლები ქორენიში, ტვიში და ორხავი. მათ წარმტაც სილამაზეს აძლევს რიონის ვინწრო ხეობის ორივე მხარეზე ცამდის აწვდილი სალი კლდები, სადაც რამდენიმე გამოქვაბული და ხელოვნური კედელი ნათლად მოსჩანს. მგოსანმა ყურადღება გაამახვილა ხვამლის ქვაბულზე, რომელიც თამარის ეპოქაში საიმედო განძსაცავი იყო.

ალპანაში, სადაც გზა იყოფა და ერთ-ერთი ზემო-ლეჩებუმს უკავშირდება, აკაკის სთხოვეს რაჭიდან დაბრუნების შემდეგ შებრძანებულიყო ლაილაშსა, ორბელსა და ცაგერში. პოეტმა მათ ლაილაშში მისვლის თანხმობა აღუთქვა, ცაგერში შესვლას კი ვერ შევძლებ, რადგან ეტლი ვერ მიდის და ცხენოსნობა არ ძალიძისო.

ალპანაში მგოსანს მიესალმნენ ერმალო გელოვანი და ერაჯი ჩიქოვანი. ყურაშვილის გოგონამ მიმზიდველად წაიკითხა აკაკის „განთიადი“.

მიუახლოვდნენ სოფ. საირმის უდაბნოს. ხალხური გადმოცემით, აქ ყოფილა ქალაქი, რომელიც უხსოვარ დროს მინისძვრის გამო ჩაქცეულა ორასი მეტრის სილრმეზე. დარჩენილია მაღალი კლდოვანი სვეტები, ერთგან, კლდის ნაპრალიდან, ამოდის კვამლი, რაც განსაკუთრებით ზამთარშია შესამჩნევი. იქვე სახნავი მინაა. მას „კლდეშუას“ უწოდებენ.

წინათ აქ იყო მონასტერი, სადაც ბერები ცხოვრობდნენ. მახლობლად მდებარე ტყეს „საბერიოს“ ეძახიან.

უდაბნოს ჩრდილოეთით, მთის კალთებში, გაშენებულია, მდიდარი სოფელი საირმე, სადაც ორასი კომლი ცხოვრობს. საირმის უდაბნოს უღელტეხილთან, სადაც ძნელ აღმართსა და დაღმართში გზა საოცრად დაკეცილია, აღმოსავლეთით თვალნარმტაცი სანახაობა მოსჩანს. მნახველის მზერას ქვემო-რაჭის ხედი იპყრობს. საირმის უდაბნოს ხილვამ აკაკი აღტაცებაში მოიყვანა. წარუშლელი შთაბეჭდილებით აღავსო მისი არსება.

უდიდესი აღფრთოვანებით მიეგებნენ დიდებულ მოხუცს სოფელ ჭრებალოში. ჭრებალო ეთნოგრაფიულად შედის ლეჩებუმში და რაჭასთან ლეჩებუმის საზღვრად ითვლება.

აქ დეკანოზმა ნესტორ ფრუიძემ პოეტს სიტყვით მიმართა: „მოგეგებებით რა სამღვდელოება და ერი ლოცვა-კურთხევით, ვმადლობთ ღმერთს, რომ ჩვენი მხარეც გახდა ღირსი თქვენი მობრძანებისა, ჩვენ უზომო სიხარულს ვგრძნობთ თქვენი ხილვით. ჩვენთვის ეს დღე შესანიშნავი და ღირსსახსოვარია. თქვენ მამა ბრძანდებით უკვდავი და სახელოვანი ჩვენი ერისა, ლამპარიმანათობელიდაჩაუქრობელი. თქვენ ყველასთვის გულმხურვალედ იღწვით და შრომობთ, ყველას ჰშველით და თანაუგრძნობათ. ბევრი საუკუნე გაივლის, რომ თქვენი სახელი არ გაქრება ხალხის ცხოვრებაში. გიხაროდეთ, რომ თქვენებრ თავდადებულ მოღვანეს მოელის ჯილდო—ზეციური გვრიგვინი და ნეტარება. გმადლობთ, უკვდავო მგოსანო, რომ ჩვენც არ დაგვტოვეთ უნახავად და გაგვაბედნიერეთ მობრძანებით. ვევედრებით უფალს თქვენს დღეგრძელობას, რათა კიდევ გვლირსებოდეს თქვენი ნახვა და სალამი!..“

ხალხის წინ აღიმართა მაღალი, პირხმელი და ენამახვილი ქაიხოსრო გელოვანი. ქაიხოსრო გელოვანმა, რომელიც ქართული პრესის მუდმივი თანამშრომელი იყო, წაიკითხა შემდეგი ლექსი:

მსცოვანი მწირი დიდებულ მეოთხანი  
კრძალვით მოგიძვნი თავანისცემას,  
გილოცავ გვირგვინს უკვდავებისას—  
ნაუფლ ზეციურ შენი ნიჭისას.  
შენ გააღვიძე მმინარე ხალხი,  
შენ შთაბერე მას ფხიზელი სული,  
მისვის ჩატივს გცემს მშობელი ერი,  
შენით ფენიქსებრ განახლებული.  
გამოიჭიზლა შენმა საშობლომ,  
შეიგნო შენი დიადი ღვაწლი,  
ისარე სულით, დიდო მგოსანო,  
რომ აღასრულე შენ დიდი ვალი!..

გაგრძელება შემდეგ ნორაში

## ზურაბ ქაფიანიძე

# ქონილი ვლეილქავეჭიში



ზურაბ ქაფიანიძის გარდაცვალებიდან ხუთმანელმა განვლო, მაგრამ სრულებითაც არ განელებულა მასთან გატარებული დღეების ხშირი გახსენება ჩვენს საძმოში და მთლიანათ ქართულ საზოგადოებაში.

აქ მინდა მოგითხოთ, ერთი მეგობრობის სამაგალითო ამბავი, როდესაც ზურა, როგორც ყოველთვის მოვლენათა ცენტრში იყო.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართულმა კინოსტუდიამ გადაიღო ფილმი „ჩესიმენი“, რომლის რეჟისორიც გახლდათ ბ-ნი ნიკოლოზ სახიშვილი. ფილმში ოსეთის სახალხო გმირს ჩერმენს თამაშობდა ჩრდილო ოსეთის სახალხო არტისტი ბიმბოლატ (ბიბო) ვატაევი, მის ძმადნაფიცს, ხევსურ ბერიას კი ზურაბ ქაფიანიძე განასახიერებდა. ფილმის გადაღების მომენტში ზურა და ბიბო ისე დაახლოვდნენ, რომ ცხოვრებაშიც ძმად გაიფიცნენ და სიცოცხლის ბოლომდე ასევე დარჩნენ. ზურას ქართველი მეგობრების დიდი ნაწილი ბიბოს დაუმეგობრდით და ხშირად გვინევდა ერთად ყოფნა საქართველოში და ვლადიკავკაზიშიც.


და აი, გარკვეული დროის შემდეგ ვლადიკავკაზიდან (მაშინ ორჯონიკიძე ერქვა) ზურამ მიიღო ტელეგრამა: შაბათს ძიუს ქორწილია, გელოდებით მეგობრებთან ერთად. ძიუ (ტოლიკი) მსახიობი იყო და „ჩერმენი“ ბიბოს მეგობარს თამაშობდა (მის ქორწილში მეჯვარე იყო), აქ კი ბიბო ძიუს ქორწილის მეჯვარე გახლდათ.

ბიბოს თბილისელმა მეგობრებმა, ერთმანეთი მოვძებნეთ და იმ შაბათს მინვოდში გადავფრინდით: ზურა ქაფიანიძე, რამაზ ჯიშეარიანი, ოთარ სალუქვაძე, ბონდო ბენდელიანი, ზაურ ხიდეშელი და ვახტანგ მაჭავარიანი.

სამარშრუტი ტაქსით ორსაათ-ნახევარში ორჯონიკიძეში ვიყავით, სასტუმროში დავბინავდით და ტელეფონით ბიბოს დაურეკეთ. 15 წუთში ბიბო ჩვენთან იყო. დაუვიწყარია ბიბოს და ზურას შეხვედრა. ეს ორი მთა კაცი ერთმანეთს გადაეხვივნენ, ერთ ხანს ასე გადახვეულები, ორ-თავეს თვალები ცრემლებით აევსოთ. ურთიერთ-მოფერების შემდეგ ქორწილამდე ბიბომ სახლში მიგვიყვანა, დედა გაგვაცნო, ქართული ლვინით და ოსური ხაბიზგინებით გაგვიმასპინძლდა. ქორწილში გზად მიმავალნი, სამშობიარო სახლში მივედით სადაც ბიბოს მეუღლემ, სვეტამ იმ დღეს ბიბოს ბიჭი აჩუქა, რომელსაც სახელად ზაური დაარქვა (გარდაცვლილი მამის სახელი).

საღამოს კი დაიწყო ქორწილი, ძიუმ ცოლად კაბარდინელი ბალეტის მოცეკვავე გოგო შეირთო. ძიუ (ტოლიკი) თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული იყო და ქართულად კარგად ლაპარაკობდა. პატარძალი ცალკე ოთახში კუთხეში იდგა, მის ნინ გაუთავებელი ცეკვა-თამაში მიმდინარეობდა, მამაკაცები კი სასიძოსთან ერთად სხვა ოთახში ვქეიფობდით, ჩვენ გადავწყვიტეთ ოსურ ქორწილში სხვებთან

## კადრები წარსულიდან



ერთად ოსური არყით „რახით“ გვექეიფა.

როგორც ბატონი მუხრანი იტყოდა „შეენა ხმა-სმას“ და ქართული მრავალურამიერი დატრიალდა.

ოსებმა გადაწყვიტეს სიმღერაში შეგვჯიბრებოდნენ, მაგრამ არა გამოუვიდათ რა, ჩვენმა 6 კაციანმა ჯგუფმა ადგილად გადაძალა ოსების ნაციონალური ანსამბლი, მით უმეტეს ბიბოც ქართულად შესანიშნავად მღეროდა.

ქორნილის თამადა ბატონი კარგიერი გახლდათ. მან არაერთგზის ალნიშნა, რომ თეთრი შურით შურს ქართველების რომ მათზე უკეთესად მღერიან.

სიმღერას ცეკვა მოჰყვა, არც აქ შეგვირცხვენია თავი. მახსენდება ერთმა ოსის გოგომ როგორ მოინდომა თითოეული ჩვენგანი ცეკვით დაეღალა,

მაგრამ ბიბომ არ მისცა საშუალება, ცეკვაში ჩაეჭრა, ნელ-ნელა შეავიწროვა და საცეკვაო სცენიდან გაიყვანა თან დასძინა ქალებს ბევრის უფლება არ უნდა მისცე თორემ გათამამდებიანო.

იყო ცდა ოსური წესის მიხედვით პატარძლის მოპარვისა, მაგრამ ბიბომ, როგორც მეჯვარემ ჩვენი დახმარებით დროზე აღკვეთა, ასე რომ ქორნილმა შესანიშნავად ჩაიარა.

ზურამ რამოდენიმე შესანიშნავი სადღეგრძელი, წარმოთქვა მისსა და ბიბოს მეგობრობაზე, მაშინ დამოკიდებულება ასე დაძაბული არ იყო. მეორე დღეს ოსური რახით გამოყოლილები კიდევ მოვეფერეთ ბიბოს, ძიუს და მათ მეგობრებს. დიდად კმაყოფილებმა გამოგვაცილეს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, აღარ არის ბიბო, რომლის გასვენებაში ზურა ვლადიკავკაზში ჩავიდა და ულამაზესი გამოსათხოვარი სიტყვა გაატანა ძმადნაფიცს. აღარ არის ზურა, აღარ არიან: რამაზი, ოთარი, ბონდო.

ღმერთო, ნათელში ამყოფე მათი სულები. ისინი ეხლა ყველა ერთად არიან და მნამს დღესაც ულამაზეს ძმობაში განაგრძობენ სულთა ურთიერთობას.

ჩემო ბეგო, გვახსოვხარ, შენც და ყველა, ვინც შენს გვერდით დგახართ აღმაშენებლის ლაშქარში, უპატრონეთ ერთმანეთს და ილოცეთ თქვენი ლამაზი საქართველოსთვის.

### ზაურ ხიდეშელი

#### ცაცხილი მკურნალი

ცაცხვს სამკურნალო თვისებებს სძენს ბიო-ლოგიურად აქტიური ნაერთების კომპლექსი, რომელიც კონცენტრირებულია მის ყვავილებსა და ფოთლებში.

ყვავილები შეიცვენ პოლიფენოლების (ფლავონოდებს), ლორნოვან ნივთიერებებს და მცირე რაოდენობით – ეთეროვან ზეთს, არომატულ მჟავებსა და ტანინს.

ხალხური მედიცინით – ცაცხვის ყვავილის ჩაი რეკომენდებულია როგორც ოფლმდენი, სიცხის დამნევი, ხველების სანინაალმდეგო საშუალება, ნახარში ასუფთავებს ფილტვებს ნახველისაგან. ცაცხვის ქერქითა და ყვავილებით დამზადებულ ნაყენს აქვს ანთების სანინაალმდეგო, ანტიმიკრობული და გამწმენდი თვისება. იყენებენ ანთებითი დაავადებებისა და ანგინის დროს პირში გამოსავლებად, გრიპისა და გაცივების დროს.

ცაცხვის ყვავილის ნახარში ასტიმულირებს კუჭის წვერის გამოყოფას, ხსნის სპაზმებს, გამოიყენება როგორც მეტეორიზმის, ისე დიარეის დროს:

4 ს/კ ცაცხვის ყვავილს დაასხით 1 ლ წყალი, ნამოადულეთ, შეაგრილეთ, გაწურეთ. სვით 1/2 ჩ/ჭ



თბილი ნახარში 2-3-ჯერ დღეში.

ჰომეოპათები ცაცხვის ყვავილის ნახარშს უნიშნავენ ცენტრალური ნერვული სისტემისა და შაკიკის დროს, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას:

1 ს/კ ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 40 წუთი, გაწურეთ და სვით 100-150 მლ თბილი ნაყენი 3-4-ჯერ დღეში.

დღის განმავლობაში, დაზიანებული კანი რამდენჯერმე უნდა გაიწმინდოს ყვავილების ნახარშით. ცაცხვის ხის დაფქული ქერქიან მისი ექსტრაქტი წმენდს ორგანიზმს, ლვიძლის უკმარისობისა და ნაღვლის ბუშტის კენჭების დროს ასტიმულირებს სეკრეციას და ნაღვლის გამოყოფას.

# უცნობი ფაქტები სტალინის ცხოვრებიდან



**სტალინი — სახელი „ფოლადის პაცს“  
ნიშნავს. ძველქართულად „ჯუღა“ ნიშნავდა  
„ფოლადს“ ერთ-ერთი ვერსიით სწორედ  
ამიტომ აირჩია იოსებ ჯუღაშვილის  
ფსევდონიმი „სტალინი“**

1. სტალინი საქმის კურსში იყო, თუ რა ხდებოდა  
საქართველოს ეკლესიაში.

1917 წელს აღდგენილი საქართველოს  
ავტოკეფალია არ ცნო რუსეთის ეკლესიის სინოდმა.  
ასე გაგრძელდა 1943-მდე. 1943 წელს კი სწორედ  
სტალინის ბრძანებით საქართველოს ეკლესიის  
ავტოკეფალია აღადგინეს.

2. პარტიის საათავეში ყოფნის პირველი 10 წლის  
განმავლობაში სტალინმა სამჯერ ითხოვა გადადგომა,  
თუმცა მეტწილად ეს განცადებები კოლეგების  
შესამოწმებლად იყო გაეკეთებული.

3. სტალინმა პომოსექსუალიზმი და აბორტი  
კანონით 1933 წელს აკრძალა.

4. ავტომანქანა „პობედას“ შექმნისას ფიქრობდნენ  
მისთვის „როდინა“ (სამშობლო) დაერქმიათ. ეს ამბავი  
რომ გაიგო, სტალინმა ირონიულად იყითხა: „და რა  
ელირება ჩვენი „როდინა“? მანქანას სახელი მაშინვე  
შეუცვალეს.



5. 1874 წელს შედგა ბესოს და კეკეს ქორნილში,  
მეჯვარეები იყვნენ იაკობ ეგნატაშვილი და მიხა  
ციხითათრიშვილი. მალე ახალგაზრდა წყვილს ვაჟი  
შეეძინა, ეგნატაშვილმა მას გიორგი დაარქვა, 1  
წლის შემდეგ ეს ბავშვი გარდაიცვალა, ბესომ ამის  
შემდეგ სმას უფრო უმატა, მალე გაჩნდა მეორე ვაჟი –  
მიხეილი, რომელიც 2 კვირისა გარდაიცვალა ბოლოს  
კი დაბადა იოსები, ანუ სოსო ჯუღაშვილი, რომელიც  
ჯანმრთელობის მხრივ სუსტი იყო, იგი 5 წლის ასაკში  
ყვავილით დაავადდა, ავამყოფობამ სოსოს სახეზე  
ჭორფლი დაუტოვა, სწორედ „ჭორფლიანის“ სახელით  
მოიხსენიებდნენ მას სკოლაში

6. სტალინის დროს საქართველოში შეიქმნა  
შემდეგი სამრეწველო ობიექტები: ზესტაფონის  
ფერმანგანუმის ქარხანა, რიონქესი, ზაჟესი და სხვ  
კოლხეთის ჭაობების დაშრობის შემდეგ განვითარდა  
მეჩაიერა, მეციტრუსეობა, გაიზარდა ღვინისა და  
მინერალური წყლის ნარმოება.

7. სტალინი ზუსტად იხსენებდა საქართველოს  
რომელ კუთხეში რა ღვინო მოდის და რა თვისებები  
აქვს. ერთხელ ქალაქ იალტაში, ვისკის მოყვარული  
ჩერჩილისთვის მეგობარს ქართული ჭაჭა ჩაატანინა.

8. სტალინი ყოველთვის სთავაზობდა სტუმრებს  
არაყს, მაგრამ ამ დროს ალკოჰოლის მიღებისაგან  
თავს იკავებდა, რათა სრულიად ფხიზელს ემსჯელა  
სტუმრებთან. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა  
ზომიერად დაელია ალკოჰოლური სასმელი, სადაც  
უპირატესობას ქართულ ხვანჭკარას ანიჭებდა.

9. „ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთმა  
მთავარმა მონაწილემ მთლიანად აღიარა თავისი  
საქმიანობა, დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული  
ყველა მასალა ივანე ჯავახიშვილის ფაშისტური  
საქმიანობის შესახებ“.

დიდი ქართველი მეცნიერი შემთხვევით გადაურჩა  
სიკვდილით დასჯას. ასეთ მძიმე სიტუაციაში, ვიღაცა  
მოახერხა და ივანე ჯავახიშვილის ამბავი აცნობა

## ბეჭადი

იოსებ სტალინს. ამ უკანასკნელმა კი კრემლიდან თითო დაუქნია – ქართველებს მაგის ტოლი მეცნიერი სხვა ვინ გყავთო?! ასე გადაურჩა ცნობილი ისტორიკოსი დაპატიმრებას და სუკის ჯურლმულში სიკვდილს.

10. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა საინფორმაციო ცყარო ადასტურებდა, რომ „დიდი ბელადი“ მეორე მსოფლიო ომის დროს სულ კრემლის კედლებში იყო ჩაკეტილი და ისე იძლეოდა განკარგულებებს. ასეა აღნერილი უამრავ ფილმშიც, თავის კაბინეტში მჯდომი, ან გლობუსთან მდგარი სტალინი. თუმცა, როგორც სტალინთან დაახლოებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაიორი აღექსე რიბინი იხსენებს, ბელადი რამდენჯერმე იყო გასული ფრონტის წინა ხაზზე და პირადად ამოწმებდა საომარ ვითარებას. იგი უფრო მეტად მამაცი აღმოჩნდა, ვიდრე ბევრი სხვა მაღალმინისანი-დასძენს ალექსე რიბინი. ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს, სტალინის ავტომობილი მოსკოვის მახლობლად ღრმა თოვლში ჩავარდა, ამ დროს გერმანელმა არტილერისტებმა ინტენსიური სროლა დაინყეს. ბელადი სხვა მანქანაში გადასვეს, ხოლო თოვლში ჩავარდნილი ავტომობილი ტანკით ამოათრიეს. რიაბინის თქმით, გერმანელები რას წარმოიდგენდნენ, რომ მანქანაში თვით მთავარსარდალი იყო, თორემ მათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა იმ ადგილის დაკავება და სტალინის ტყვედ ხელში ჩაგდება.

11. ბუდაპეშტში ტროლეიბუსები გამოჩნდნენ 1949 წელს. პირველი ტროლეიბუსი დანომრეს 70-ით, რადგან იმ წელს აღინიშნებოდა სტალინის 70-ე დაბადების დღე. ბუდაპეშტში ახლაც კი არ არის 70 წლის ბუდე დაბალი ნომრის მქონე ტროლეიბუსი.

12. უინსტონ ჩერჩილს ძალიან უყვარდა სომხური კონიაკი, ამიტომ ყოველდღე სვამდა კონიაკ „დვინს“. ერთხელ პრემიერმა შეამჩნია, რომ „დვინს“ დაკარგა თავისი პირვანდელი გემო. მან ეს აუწყა სტალინს. აღმოჩნდა, რომ მარგარ სედრაქიანი, რომელიც უშვებდა „დვინს“, გადასახლებული იყო ციმბირში. სტალინის ბრძანებით ის დააბრუნეს. ამის შემდეგ ჩერჩილმა ისევ გაიხარა, ხოლო სედრაქიანს კი სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს.

13. გელი მარკიზოვა და სტალინი (იხ. სურათი). სურათის სახელწოდება – „სტალინი და გელა“. სურათზე მინანერი – „მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის“. ამ გოგონას მამა დახვრიტეს, ხოლო დედა, გელისთან ერთად, გადასახლეს. ამის შემდეგ ამ სურათს სახელი „სტალინი და გელი“ შეუცვალეს და დაარქვეს

„სტალინი და მამლაქატი“. შემდეგ, მათ დაადასტურეს რომ ეს გოგონა ნამდვილად პიონერი მამლაქატ ნახანგოვა იყო. სდ

14. როდესაც რუსული მანქანის „პობედას“ შექმნას აპირებნენ, სახელიც შეურჩიეს და დაარქვეს „როდინა“ (სამშობლო). როდესაც სტალინმა ამის შესახებ გაიგო, იძონიულად იკითხა: „Ну и почем у нас будет Родина?“. ამიტომაც დაერქვა ამ მანქანას „პობედას“.

15. ძველქართულად „ჯულა“ ნიშნავდა „ფოლადს“ (რუს. სტალის). ერთ-ერთი ვერსიით სხორცედ ამიტომ აირჩია იოსებ ჯულაშვილმა ფსევდონიმი „სტალინი“. 16. ლიტერატურის კითხვის საშუალო ნორმა სტალინისათვის შეადგენდა დაახლოებით 300 გევრდს დღეში. ის ყოველთვის დაკავებული იყო თვითგანათლებით. მაგალითად, 1931 წელს, კავკასიაში მკურნალობითათვის ჩასულ იოსებს, ნადეჟდა ალილუევასთან გაგზავნილ წერილში, საერთოდ არ უხსენებია სიტყვა ჯანმრთელობის შესახებ. სამაგიეროდ თხოვდა, რომ გამოეგზავნა წიგნები ელექტროტექნიკისა და შავი მეტალურგიის შესახებ.

17. სტალინის განათლებულობის დონის შეფასება შეიძლება მის მიერ წაკითხული და ნასწავლი წიგნებით. რამდენი წიგნი წაიკითხა თავის სიცოცხლეში, ამის დადგენა არ ხერხდება. ის იყო წიგნების კოლექციონერი. ის წიგნებს კი არ აგროვებდა, არამედ არჩევდა. ეს ნიშნავს იმას, რომ მის ბიბლიოთეკაში იყო ისეთი წიგნები, რომლებიც მომავალში გამოადგებოდა. იმ წიგნების შესწავლა, რომელსაც ის არჩევდა, ძალიან ძნელია. კრემლის ბიბლიოთეკა (სტალინის იყო), როგორც მოწმები ამბობენ, ითვლიდა რამდენიმე ათეულ ათასს წიგნს. 1941 წელს, სტალინის ბიბლიოთეკა ევაკუირებული იყო და რამდენი წიგნი დაიკარგა, უცნობია, რადგან კრემლის ბიბლიოთეკა აღარ აღმდგარა. ასევე მას ჰქონდა წიგნები დაჩიტზე. ერთ-ერთ დაჩიზე კი ინახებოდა დაახლოებით 20 ათასი წიგნი.

18. სტალინის პირადი არქივი განადგურებული იქნა მისი სიკვდილიდან მეორე დღესვე. 19. სტალინი თავისი მუშაობით ყოველთვის ასწრებდა დროს, რამდენიმე ათეული წლითაც კი. მისი ეფექტურობა, როგორც ხელმძღვანელისა იყო იმაში, რომ ის ისახავდა ძალიან შორეულ მიზნებს და მისი იმდღიური გადაწყვეტილება ხდებოდა მასშტაბური გეგმების ნაწილი.

20. იოსებ სტალინი უპირატესობას ანიჭებდა



## ბეჭადი



ღვინო „წინანდალს“ და „თელიანის“. ხანდახან სვამდა კონიაქს, ხოლო არაყი საერთოდ არ აინტერესებდა. მცველმა შეამჩნია, რომ 1930-1935 წლებში, მხოლოდ ორჯერდაარღვიაეს „წესი“: ს. გ. შტემენკოს დაბადების დღეზე და ა. ა. უდანოვას მოსახსენიებელზე.

21. სტალინს მიაჩნდა, რომ სსრკ-ს ყველა ქალაქში უნდა ყოფილიყო პარკი, სადაც ადამიანები დაისვენებდნენ. ამ პარკის მთავარი „ატრიბუტები“ იყო საკითხავი და სათამაშო (ჭადრაკი, ბილიარდი, ნარდი) დარბაზები, ლუდის ჩამოსასხმელები, საცეკვაო მოედნები და საზაფხულო თეატრები.

22. სსრკ-ს მართველობის უპირველეს ეშელონზე ყოფილი დროს (10 წლის განმავლობაში), სტალინმა სამჯერ მოითხოვა სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ.

23. იდეურ ბრძოლაში ტროცკის მომხრეებს გამარჯვების უმცირესი შანსიც კი არ გააჩნდათ სტალინის მომხრებთან. როდესაც სტალინმა, 1927 წელს, ტროცკის შესთავაზა ჩაეთარებინათ ერთპარტიული დისუსია, ტროცკელებისთვის რეფერენცუმის შედეგი უბრალოდ სასირცხვილო იყო. 854 ათასი წევრიდან 730 მიიღო რეფერენცუმში მონაწილეობა, 724 ათასმა კაცმა სტალინს დაუჭირა მხარი, ტროცკის კი მხოლოდ 6 ათასმა.

24. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელსა და სსრკ-ს შორის შეწყვეტილი იყო დიპლომატიური ურთიერთობა, სტალინის გარდაცვალების დღე, ისრაელში გლოვის დღედ გამოაცხადეს.

25. ომის დროს სტალინმა, როგორც წესი იყო, თავისი შვილებიც გაგზავნა ფრონტზე. მისი ერთი შვილი ტყვედ ჩავარდა, საბჭოთა კავშირს კი ერთი გერმანელი გენერალი ჰენრი ჰერმან შეავარები. როდესაც გერმანელებმა შესთავაზეს უმცროსი სტალინი გაეცვალათ გერმანელ გენერალზე,

სტალინმა უარი განაცხადა და თქვა: „ჩვენ რიგითებს გენერლებზე არ ვცვლით“

26. 1943 წელს სტალინმა წარმოთქვა ეს სიტყვები: „მე ვიცი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავთან ბევრ ნაგავს დაყრინან, თუმცა ისტორიის ქარი შეუბრალებლად გაფანტავს მათ“

27. 1941 წელს ირანის შაპი რეზა-შაპი გადადგა და ტახტი თავის შვილს, მოჰამადრეზა ფეჰლევს გადაულოცა, თვითონ კი გაიქცა. ახალ შაპს ძალიან უჭირდა ქვეყნის მართვა. 1943 წელს, როცა სამთა შეხვედრა უნდა შემდგარიყო, რამდენიმე დღით ადრე, ამერიკის პრეზიდენტმა რუზელტმა კაბინეტში დაიბარა შაპი და მხოლოდ 5 წუთი ესაუბრა. შემდეგ, ჩერჩილმაც დაიბარა, რამდენიმე ხანი აყურყუფა მოსაცდელში, შემდეგ კაბინეტში შეიყვანა და 3 წუთს ელაპარაკა. ანუ ამ ორივე პრეზიდენტმა დაამცირა ირანის ახალი შაპი. სტალინმა კი ჭკუაში აჯობაორივეს და ირანის შაპს თვითონ ეახლა. როდესაც დარბაზში შევიდნენ, მოჰამადრეზა მიუახლოვდა სტალინს, მუხლებზე დაეცა და ხელზე აპირებდა, თუმცა სტალინმა ააყენა. ამის შემდეგ სტალინი მიუბრუნდა უკან მდგომ ლავრენტი ბერიას და გენერალ შალვა კარანაძეს და ქართულად გადაულაპარაკა: „აფსუს, რომ ამ სურათს გიორგი სააკაძე და ერეკლე მეფე არ ხედავენ“

საყველთაოდ გავრცელებული აზრით, სტალინი სასტიკი პიროვნება იყო, მაგრამ ასევე ცნობილია მისი იუმორი.

### გთავაზობთ ხუმრობებს, რომელთაც სტალინს მიახერენ.

#### 1. ავტომობილი „სამშობლო“

ავტომანქანა „პობედაზე“ მუშაობისას, გადაწყვიტეს, მისთვის სამშობლო“ დაერქმიათ. რა თქმა უნდა, ეს ამბავი სტალინსაც მოახსენეს. ბელადმა ირონიულად იკითხა: „საინტერესოა, რა ფასი ექნება ჩვენთან სამშობლოს?“ მანქანის დასახელება სასწრაფოდ შეცვალეს.

#### 2. მცველები

სტალინის ერთ-ერთი მცველი ა. რიბინი იხსენებს: მგზავრობისას სტალინს ხშირად თან ახლდა მცველი ტუკოვი, რომელიც წინა სავარძელში ჯდებოდა და როგორც წესი, გზაში თვლემდა. პოლიტბიუროს ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, სტალინს უთხრა:

– ამხანაგო სტალინ, ვერ გამიგია, ვინ ვის იცავს?

– ეგ რა არის, – უპასუხა ბელადმა – ზოგჯერ თავის პისტოლეტს მაძლევს ხოლმე, რა იცი, რა ხდება!

#### 3. სიყვარულზე

ერთხელ სტალინს მოახსენეს, მარშალ როკოსოვსკის საყვარელი გაუჩენია, ცნობილი მსახიობი ვალენტინა სეროვა და რა ვქნათო. სტალინმა ჩიბუხი გამოიღო, ცოტა ხანს იფიქრა და უპასუხა:

– რა ვქნათ და მგონი, უნდა შეგვშურდეს!

## 4. ლიმონი

სტალინი საქართველოს ცკ-ს პირველ მდიგან ა.ი. მგელაძეს კუნცევოს აგარაკზე მასპინძლობდა და თავისი ხელით გამოყვანილი ლიმონი გაასინჯა:

– ამ ლიმონშა, აქ, მოსკოვის შემოგარენში იხარა!

ეს ფრაზა შემდეგშიც რამდენჯერმე გაუმეორა.

სტუმარი მალე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და მოახსენა:

– ამხანაგო სტალინ! პირობას გაძლევთ, რამდენიმე წელინადში საქართველო მთელ საბჭოთა კავშირს მოამარაგებს ლიმონით და უცხოეთიდან მისი შემოტანა აღარ დაგვჭირდება.

– მადლობა ღმერთს, რომ მიხვდით! – იყო სტალინის პასუხი.

## 5. დამსახურება

საარტილერიო სისტემების კონსტრუქტორი ვ. გ. გრამინი იხსენებს: „1942 წლის მიწურულს სტალინმა თავისთან მიხმო და მითხრა:

– თქვენმა ქვემეხებმა რუსეთი გადაარჩინა. რას ისურვებთ: სოციალისტური შრომის გმირის წოდებას თუ სტალინურ პრემიას?

– ჩემთვის სულერთია, ამხანაგო სტალინ.

ორიოდე დღეში გავიგე, რომ ორივე მომცეს.

## 6. მკვეხარა

ომის დროს ბაგრამიანის სამხედრო ნაწილებმა პირველებმა უწინეს ბალტიის ზღვას. ბაგრამიანმა ბრძანა, ბალტიის ზღვის წყლით ბოთლი აევსოთ და სტალინისთვის გაეგზავნათ. რა თქმა უნდა, ბრძანება შესრულდა, მაგრამ სანამ ადიუტანტი მოსკოვს მიფრინავდა, გერმანელებმა ბაგრამიანის ნაწილებს უკან დაახვინეს. მოსკოვში ეს უკვე იცოდნენ. ადიუტანტმა ამაყად შეაბიჯა სტალინის კაბინეტში და ხმამაღლა მოახსენა:

– ამხანაგო სტალინ! გენერალმა ბაგრამიანმა ბალტიის ზღვის წყალი გამოგიგზავნათ!

სტალინმა ბოთლი ჩამოართვა, ერთხანს ხელში ატრიალა, მერე მომტანს დაუუბრუნა და უთხრა:

– ეს ბოთლი ბაგრამიანს მიუტანეთ და უთხარით, იქვე გადაღვაროს, სადაც აავსო!

## 7. მატარებლის გაჩერება

ერთხელ სტალინი ახალ ფილმს უყურებდა „მატარებელი აღმოსავლეთისკენ მიემგზავრება“. დიდი ვერაფერი კინო იყო, მატარებლის გაუთავებელი რახრახი და აქა-იქ გაჩერებები, ერთ გაჩერებაზე სტალინმა იკითხა:

– ეს რა სადგურია?

– დემიანოვება.

– ოო, ჩემი ჩასვლის დრო მოსულა, – თქვა და დარბაზი დატოვა.

## 8. ზომიერება

ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის კანდიდატურის განხილვისას ერთ-ერთი მაღაროს დირექტორის ზასიადებოს კანდიდატურა წარადგინეს.



ვიღაცამ ხელები გაასავსავა:

– ცუდიარ არის, მაგრამ ალკოჰოლის მოყვარულია.

– შემახვედრეთ მაგ კაცთან, – ბრძანა სტალინმა.

ზასიადები მოიყვანეს, სტალინი გაესაუბრა და ისე, სხვათაშორის, დალევა შესთავაზა.

– სიამოვნებით, – იყო პასუხი, დაისხა ერთი, ჭიქა ბელადი ადლეგრძელა, გადაკრა და საუბარი განაგრძო. ცოტა ხანში სტალინმა ისევ შესთავაზა დალევა, ზასიადები ეს ჭიქაც მოინელა და მშვიდად განაგრძო ლაპარაკი. ბელადის მესამე შეთავაზებაზე, ზასიადები ჭიქა გასწია და უთხრა: ზასიადები თავისი ზომა იცის.

მეორე დღეს პოლიტიკუროს სხდომაზე ისევ დაიწყო მინისტრობის კანდიდატების გარჩევა, ისევ მის სმაზე გამახვილდა ყურადღება. ამ დროს სტალინი ოთახში ბოლთას სცემდა და მშვიდად გადაულაპარაკა სხდომის მონაწილეებს.

– ზასიადები ზომა იცის.

მას შემდეგ ზასიადები დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს.

## 9. სიხარბე

ერთი გენერალ-პოლკოვნიკი საომარი მდგო-მარების შესახებ მოხსენებას აკეთებდა. როდესაც სათქმელი მოათავა, ერთ ხანს კიდევ შეყოვნდა. სტალინმა ჰყითხა, კიდევ რამე ხომ არ გინდათო.

გენერალმა მოახსენა, გერმანიაში რაღაც ნივთები შევარჩიე ჩემთვის, მაგრამ საზღვარზე არ გადმომატანინეს და გთხოვთ, დამეხმაროთო. სტალინმა მოხსენების დაწერა სთხოვა და შემდეგ რეზოლუცია დაადო. გენერალი მადლობებში დაიღვარა. სტალინმა უთხრა, სამადლობელო არაფერია, რეზოლუცია წაიკითხეო.

იქ კი ენერა: „მიეცით პოლკოვნიკს მისი ბარგი-ბარხანა“.

გენერალმა ბელადს შებედა: „ამხანაგო სტალინ,

# ბეჭადი

აქ შეცდომაა, მე პოლკოვნიკი კი არა, გენერალ-პოლკოვნიკი ვარო”.

სტალინმა მშვიდად ახედა და უპასუხა: „მანდ შეცდომა არ არის, ამხანაგო პოლკოვნიკო”.

## 10. თანამშრომლები

ადმირალი ისაკოვი 1938 წლიდან სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარის მოადგილედ მუშაობდა. ერთხელ 1946 წელს მას სტალინმა დაურეკა და უთხრა, მთავარი საზღვაო შტაბის უფროსად გადავწყვიტეთ თქვენი დანიშვნაო.

ისაკოვმა უპასუხა: „ამხანაგო სტალინ, უნდა გითხრათ, რომ სერიოზული ნაკლი მაქვს, ერთი ფეხი მაქვს ამპუტირებული”.

– „ეს ერთადერთი ნაკლია, რისი თქმაც ჩემთვის გინდოდათ?” – შეეკითხა ბელადი. დიახო მიუგო ისაკოვმა.

– „თქვენს წინამორბედს საერთოდაც თავი არ ჰქონდა, მაგრამ რაღაცას მაინც ახერხებდა, თქვენ კი მხოლოდ ფეხი გაკლიათ, ამდენად საშიში არაფერია”.

## 11. კორუფცია

ომის შემდეგ სტალინმა გაიგო, რომ ვინმე პროფესორმაკ-მმოსკოვის შემოგარენში უშველებელი აგარაკი ააშენა. მან პროფესორი გამოიძახა და ჰქითხა: „მართალია, რომ რამდენიმეათასიანი აგარაკი აიშენეთ?!” – „მართალია, ამხანაგო სტალინ”, – უპასუხა პროფესორმა. – „დიდი მადლობა საბავშვო სახლის ბავშვების სახელით, რომლებსაც ეს შენობა აჩუქეთ” – უპასუხა სტალინმა და პროფესორი ლექციების წასაკითხად ნოვოსიბირსკში გაამწესა.

## 12. უცხოური პრესა

1936 წლის შემოდგომაზე, დასავლეთში გაავრცელეს ცნობა, თითქოს სტალინი გარდაიცვალა. „ასოშიერებული პრესის” კორესპონდენტმა ჩარჩლზ ნიკიტერმა გადაწყვიტა, ინფორმაცია გადაემოწმებინა. მივიდა კრემლში და სტალინისთვის გადასაცემად წერილი დატოვა, სადაც ითხოვდა, დაედასტურებინათ და უარესობოთ ეს ცნობა. სტალინმა მაშინვე უპასუხა: „პატივცემულო ბატონო! როგორც უცხოური გაზიერებიდან შევიტყვე, კარგა ხანია ეს ცოდვილი დედამინა დავტოვე და იმიერ ქვეყანაში გადავსახლდი. ვინაიდან უცხოური მასმედიის სანდოობაში ეჭვის შეტანა ძნელია, გთხოვთ, ირწმუნოთ ეს ცნობა და ამიერიდან აღარ დაარღვიოთ ჩემი იმქვეყნიური იდილია. 26 ოქტომბერი; 1936 წ.

პატივისცემით, ი. სტალინი”.

## 13. ჰერალდიკა

ერთხელ უცხოელი უურნალისტები შეეკითხნენ სტალინს:

– სომხეთის გერბზე არარატის მთა რატომა გამოსახული, ის ხომ თურქეთის ტერიტორიაზეა?

სტალინმა უპასუხა:

– თურქეთის გერბზე ნახევარმთვარეა გამო-

სახული, ვითომ მთვარე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს?

## 14. რეგლამენტი

უკრაინის სოფლის მეურნეობის სახ. კომისარი პოლიტბიუროში დაიბარეს, მან იკითხა:

– როგორ უნდა მოგახსენოთ, მოკლედ თუ დაწვრილებით?

– გნებავთ, მოკლედ, გნებავთ, დაწვრილებით, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ რეგლამენტი 3 წუთია – უპასუხა სტალინმა.

## 15. თპერა

დიდ თეატრში გლინკას „ივანე სუსანინის” ახალი დადგმა მზადდებოდა. კომისიის წევრებმა, ბოლშაკოვის ხელმძღვანელობით, მოისმინეს და გადაწყვიტეს, ფინალი ამოელოთ, სადაც იყო ასეთი ფრაზა: „იდიდე, რუსო ხალხო!” მიზეზად მოიდეს, რომ ეკლესიური და ზედმეტად პატრიარქალურიაო მოახსენეს სტალინს.

„– მოდით ასე მოვიქცეთ, ფინალი დავტოვოთ, აი, ბოლშაკოვი კი მოვხსნათ”.

## 16. პრიორიტეტები

როდესაც ფიქრობდნენ, როგორ მოქცეოდნენ გერმანულ ფლოტს, სტალინმა წინადადება შეიტანა, გაეყოთ. ჩერჩილმა თქვა – ჩავძიროთო. მაშინ სტალინი მიუტრიალდა ბრიტანელს და მიუგო: „სწორია, აი, თქვენი წილი ადექით და ჩაძირეთ”.

## 17. ფსევდონიმები

სტალინი სამხატვრო თეატრში სპექტაკლის პრემიერაზე მივიდა. მას დახვდა სტანისლავსკი, ხელი გაუწოდა და თავისი ნამდვილი გვარით წარუდგა: ალექსეევი. „ჯულაშვილი”, – უპასუხა სტალინმა და თავის ადგილს მიაშურა.

## 18. ამბიციები

პოტსდამის კონფერენციაზე ჰარიმანმა სტალინს უთხრა: „მას შემდეგ, რაც 1941 წელს გერმანულები მოსკოვიდან 18 კილომეტრში იყვნენ, ალბათ, სასიამოვნოა დამხობილი ბერლინის გაყოფა?”

სტალინმა უპასუხა: „მინდა, შეგახსენოთ, რომ მეფე ალექსანდრე პარიზამდე მივიდა”.

## 19. ამინდის პროგნოზი

სტალინმა მეტეოროლოგებს ჰკითხა, რამდენი პროცენტით იცნობთ ამინდს:

– 40 პროცენტით, ამხანაგო სტალინი.

– თქვენც ადექით და უკულმა ილაპარაკეთ და 60 პროცენტი გამოგივათ.

## 20. მონდომება

ომის დროს სტალინმა ბაიბაკოვს უბრძანა, ნავთობის ახალი საბადოები მოეძიებინა. ბაიბაკოვმა ხელები გაასავსავა, შეუძლებელიაო. ამაზე სტალინმა უთხრა: „იქნება ნავთობი, იქნება ბაიბაკოვი, არ იქნება ნავთობი, არ იქნება ბაიბაკოვი!”

სულ მალე ორი საბადო აღმოაჩინეს თათრეთში და ბაშკირეთში.

# სიუკურული აუგუსტ ლორძი

სოფიო ჩანქელიანი

## სიუკურული

სიუკურული საწყისია ახლის,  
სიუკურულით ავაშენოთ სახლი.  
სიუკურული უფალია თავად,  
მოდი ჩემთან ნუ გამხადე ავად.

სიუკურული არის დიდი მაღა,  
სიუკურული არის, აბა არა?  
მოცადეთ, ნუ გვაწამებთ, კმარა,  
მენ არ გვეკრებია განა?

სიუკურულია ცხოვრების არსი,  
სიუკურულია საწყისი ახლის,  
მე სიუკურული არასდროს დამღლის,  
სადაც იჩხუბებთ ჩავაგდებთ მანდილს.

სხვისი გულისტენა არც მიფიქრია  
და ეს არადროს ჩამიფიქრია,  
იცით, სულ ბევრჯერ რა მიფიქრია?  
ნეტა სიუკურული იუს ფიფქია.

სიუკურულის ძალა ქვეუნად დიდია,  
მისი მტარებელი მუდამ მშედია,  
მისით დაიწურ სამეარო,  
რას დაანგრიეთ შე-ქალო.

სიუკურულის გამო ბევრჯერ გვიტანჯია,  
მის გამო ბევრი რამე გვიზანია,  
გულშიც ბევრი რამე გვიმაღვია  
განა სხვისი რამე გვიზარვია?

ჭოგადად გიუკურდეთ ადამიანი,  
იცოდეთ მისი ავ-კარგიანი,  
რომ მუდამ იუთ მსიარული და  
არ დადიოდეთ სულ დარდიანი.

როცა გიუკურს გისარია,  
ცხოვრება სომ სიმარია,  
მოვალო, მერე ისევ წავალთ  
და ეს მაინც გვიზარია.

სიუკურული აგვამაღლებს,  
ბოროტება გვაქცევს ლოდად,  
მიუკარს განა მეზიზღება,  
ნუ დამტოვებ ღმერთო ობლად.

სიუკურულით მთერალი სულ სხვა,  
ღვინით მთერალი კი ერთი,  
ნუ დაიუიწე ამ ქვეუნად  
დიდი უფალი ღმერთი.

სიუკურული საწყისია ახლის  
სიუკურულით ავაშენოთ სახლი,  
სიუკურული უფალია თავად,  
არასოდეს არ გავხდებით ავად.

## გულის ხმა

მე არ მეგონა ამ ქვეუნაში  
ამდენი ცოდვა თუ ტრიალებდა,  
თუ არ უნდოდა ეს სიუკურული  
ენას რაღატომ ატრიალებდა.

ენა სუელია, ენა გრძელია,  
კაცი ბრძენია, თუმცა შტერია,  
მისი საქმისთვის თავსაც გაეიდის  
თუმცა რას გუზამთ მერე არ იცის.

მე არ მშირდება სხვისი ცრემლები,  
მე არ მშირდება სხვისი ქონება,  
მე მინდა ვიუთ ძლიერი რადგან  
რომ დავინახო გულის გონება.

მოგვდაგი ადამიანი

ცოდებითაა სავსე,  
შენ კიდევ, შესაცოდავო, რაღას  
უმატებ ასე,  
ეცადე სხვა გაახარო, ცრემლები  
არ დააგარო,  
ააუქნე და უთხარი რა  
ლამაზია სამეარო.

## გიორგი პიპლაძე





შურნალი „რაზველები“ იწყებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევების მიმოხილვას, რომელიც ეხება რაჭის ძარსულს. ჩავთვალეთ, რომამ რუპრიკის გზამკვლევი უნდა ყოფილიყო აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც 1919-1920 წლებში იმოგზაურა რაჭაში და მომავალ თაობას მიმდინარე ფონდის სახით რაჭის ეროვნული სიმძინეში შემოგვიანება.

მაგ ასე, ვიცხობთ 1919-1920 წლის არქეოლოგიური მოგზაურობის დოკუმენტების გაფლავას, რომელიც დიდად საყურადღებო ფაქტებს გვამცნობს ზემო რაჭაში განთავსებულ არქიტექტურულ ძეგლებზე, მოსატულობებზე, მდროგებულობის ნიმუშებზე და ხელოვნების სხვა ნივთებზე, ნარცერებზე და გათბო მოხსენიებულ ისტორიულ პირებზე.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაშროვება დიდი ცვლილი შეიტანა რაჭის ისტორიულ ნარსულის კვლევაში.

## ცევთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურება რაჭაში

(დასაცილებელი იხ. შურნალ „რაზველების“ №5,6)

გშურნის:

შენდა: ყო  
ველივე  
დიდება:  
პატივი:

მეორეს:

მოწყვალე  
ბათათს  
მხოლოდ  
შობილისა  
ძისა: შენი  
საითა

მარჯვენა მდვდელმოწყვეტის გამოხატულების ქვე-  
მოთ, მერმინდელი ასომთავრულით აწერია:

უქარაგმოდ:  
ქა ღეთო შემ  
წყლე მე მახარე  
ბელ ცოდვილ ჯრ  
მცმელთ სუმვარსა  
ღვთს ქე  
ვინც წარკითხო  
ბრძნოთ შენობ შენცა  
შენც შეგ  
„ქრისტე ღმერთო შემ-  
წყალე მე მახარე-  
ბელ ცოდვილ ჯუარ-  
მცმელთ სუმვარისაა

დავითს ქე  
ვინცა წარკითხო,  
ბრძანოთ შენდობა, შენცა  
შენი ცოდვანი შეგენდოს  
მარჯვნივ:  
ღმერთო გ  
მარჯვე შე  
დავთეთ  
„ღმერთო გაუ-  
მარჯვე, შეიწყალე  
დავთეთ (?)“

შიგ ეკლესიის თაღებზე შემორჩენილია ძველ  
ფრესკათა ნაწილებიც: ფერისცვალება, ხარება, შობა.  
სხვა ფრესკები დასავლეთის მხრით სულ მოშლილია.

შიგნით კედელზედ მიყუდებულია დიდი ხის  
ჯვარი, რომელსაც ვერცხლის ფირფიტები აღარ  
შერჩენია.

ამ ეკლესიაში ინახება ბევრი დროშები, წითელ-  
ყვითელი ქსოვილებისაგან შეკერილი. გრძელ ტარიანი,  
მრავალი ზანზალაკებით. აქვე ყოფილა ბრინჯაოს  
ჭურჭელი, რომლის სურათი გამოქვეყნებულია

უვაროვას გამოცემაში და რომელიც მას ბოქაულის  
შემწეობით წაუღია, ხოლო სამაგიეროდ უბრალო  
რუსული ხატები გამოუვზავნია ეკლესიისათვის.

სოფლის განაპირას ჭანჭანის წყლის პირზე  
დაცულია დიდი ოთხუთხედი კოშკი. ამბობენ, რომ  
ეს კოშკი და ციხე შეერთებული ყოფილა გვირაბით,  
მაგრამ მდებარეობა ისეთია, რომ ეს გარემოება  
საეჭვო ხდება.

თვით სოფელში დგას იოანე ნათლისმცემლის  
ეკლესია, განახლებული, გარედან შელესილი და შიგ-  
ნით კირით შეთეთრებული. კარები აქვს დასავლეთითა  
და სამხრეთით, სარკმელები თითო აღმოსავლეთით,  
დასავლეთით და სამხრეთით. ქვის თაღი აღარ შენა-  
ხულა და ხისა გაუკეთებიათ. კანკელი ხისაა, ახალი,  
ტილოზე ნახატი სურათებით, ტლანქი ხელობისა.  
ეკლესიის აღმოსავლეთით, ახლოს დგას ქვის  
ოთხუთხედი შენობა, რომელსაც ქვემოთ გამლილი  
კამარა აქვს. ამ კამარაზე ხის ოთხ ბოძზე აღმართულია  
ყავრის ფანერატური, რომელშიც ორი პატარა ზარი  
ჰკუდია.

ეკლესიაში სამი ხატია:

- მაცხოვრის ხატი, ვერცხლისა, 55X38,5  
სმ. ქვემოდან აქვს ტარი, რომლის ზომაა 12,5 სმ.  
შინაარსობრივ ხატი სამ ნაწილად იყოფა. ზემოთ  
ნარმოდგენილია სრული ტანით, ფეხზე მდგომარე  
მაცხოვარი, სამღვდელო შესამოსით, ხელში  
სახარებით, წარწერით: ΓC X.C. მარცხნივ არის  
გაპრიელ მთავარანგელოზი, წარწერით: „გპრელ  
მთვრგელზი“. მარჯვნივ — მიქელ მთავარანგელოზი,  
წარწერით: „მქელ მთვრგლზ“. ხატის შუა ნაწილში  
ნარმოდგენილია ცხენოსანი გამოსახულებები ნმ.  
დემეტრესი და ნმ. გიორგისა წარწერებით: „ნ დ ე“

# ოქროს ფონდი

„ნ~ გ~“ ჩანს სანახევროდ, ქვემო ნაწილი დაფარულია გვიანი ფირფიტებით, შუათანა ფირფიტებზე ნათლისძებაა ნარმოდგენილი; მარცხნივ ანგელოზი მოჩანს, მარჯვნივ — რომელიღაც წმიდანის სახე მოშლილი. ქვემო აშიაზე დარჩენილია მარცხენა ნახევარი უწინდელი ასომთავრული წარწერისა; წარწერა ეხლა ორ სტრიქონიანია, მაგრამ ბროსეს დროს სამსტრიქონიანი ყოფილა.

„ნ~ გ: გლონისაო...

გლონაისა: მოიჭედა...

შლისა: გიგსა: პტრო...“

ხატის არშია მცენარეული ხლართულებით არის მოჩუქურთმებული. აშიებზე წარმოდგენილი არიან: მარცხნივ — თეოდორე („თ~“), მარჯვნივ — ესტატე (ნ~ ეს~ტე), ქვემოთ — „ნ~ ნ~ (ოლოზ?)“.

2. ვერცხლის ხატი, 41X33,5 სმ. ზემოთ წარმოდგენილია გამობერვით მაცხოვარი წარწერით: „იო~ ქ~“. მარცხნივ — გაბრიელ მთავარანგელოზი: „გბ~ ლ~“ მარჯვნივ — მიქელ „მქ~ ლ~“. ქვემოთ მარცხნივ და მარჯვნივ თითო წმ. გიორგი, დიოკლეტიანე მეფის მგმირავი შუბით (ნ~ გ~“). ხელობა ტლანქია.

3. პატარა ხატი ღვთისმშობლისა, ჩვილედი, წელსზევითი, 12,5X9 სმ. ძლიერ უხეში ნახელავი.

4. სპილენძის თასი, რომელსაც მხედრულად აწერია:

შემონირვს (სიც): შიოს: ცხილუნელს:

წმინდა: გიორგი. ქალაქისა: ეს: თსი

თასი შეუწირავთ იმ ეკლესიისათვის, რომელიც ციხესთანაა ზემოთ, მწვერვალზე. იმ ადგილს დღესაც „ზეთ ქალაქს“ ანუ „ზემო ქალაქს“ უწოდებენ.

გლოლას ზემოთ ყოფილა პატარა ნიშის მსგავსი ეკლესია, მამანმინდა. ეხლა დანგრეულია. შიგ ყოფილა „მტრედის მსგავსი“ ქანდაკება, რომელიც ოსებს წაუდიათ.

ზემოთ, მის მახლობლად არის რაჭის მაზრაში შემომავალი ოსების სოფელი ღურშევი.

გლოლის დასავლეთით, ტყეში ყოფილა მეორე, წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონია მცხოვრებთათვის. მას უწოდებენ „შეელის ეკლესიას“. მისთვის დაწესებულია მთელი კვირა მარხვა, ორი კვირით ადრე ყველიერამდე. აღდგომა დღეს ამ ეკლესიაში ზემო რაჭის სხვა სოფლებიდანაც კი მოდიან და იქ სადილობენ ხოლმე, შემოდგომაზე, გიორგობის თვეშიაქიცის დღესასწაულიათენაგენობა. ეს პატარა ეკლესიები ჩვენ არ გვინახავს.

## IV. სორი

სორში სამი ჩვეულებრივი ერთნავიანი ეკლესია ყოფილა. ერთი ნ. გიორგისა, ხეობაში აშენებული, მეორე მთავარანგელოზისამა ახლობელ გორაკზე. ისინი ეხლა გაუქმებულია; მათი ნივთები გადმოტანილია ჯვარცმის ეკლესიაში, რომელიც ჩვეულებრივი რიგის ერთნავიანი ნაგებობაა, ქვითკირით ნაშენი, 13,8X8,5 მ, ორი სართავი კამარით და გოდრული თაღით, საკურთხეველი ერთია, მაგრამ მას ახლავს სარკმლის აქეთ-იქით თითო ვიწრო და მაღალი ნიში, მათ შორის მარცხენა ამკვეთლოს შეიცავს, სარკმლის ქვემოთ ეპისკოპოსის საჯდომია, მას ახლავს კიდევ ორივე მხრით საჯდომები — სხვა მღვდელმსახურთათვის. სარკმლი რვაა, სამ-სამი დასავლეთით და სამხრეთით, თითო აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით. კარი სამია, თითო ყოველ მხრით გარდა აღმოსავლეთისა. ეკლესია განუახლებიათ 70 წლებში გასული საუკუნისა და მაშინ მოუშლიათ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკვდრები და გაუფართოებიათ დასავლეთი ნაწილი ტაძრისა.

გადმოცემით ეკლესია აშენებული და მოხატულია საპყარ ერისთავის ჭარელიძის ქველის მიერ, რომლის სურათი წარმოდგენილია ჩრდილოეთის კედელზე. ეს უნდა მომხდარიყო XV-XVI საუკუნეში, ხოლო XVIII საუკუნეში ეკლესია განუახლებია შოშიტა III რაჭის ერისთავს, რომლის სურათი დაცულია სამხრეთის კედელზე.

კედლები ეკლესიისა შიგნით სულ მოხატულია ფრესკებით, ასომთავრული წარწერებით, რომელიც

უმეტეს შემთხვევაში წაბლალულია. საკურთხეველში ზემოთ მაცხოვარია ანგელოზებით და ქერაბიმებით აქეთ-იქით. მის ქვემოთ ვედრება წარწერებით ი ქე, და დდა ქსი, ივანე ნათლისმცემელი. ამის ქვემოთ მხედრული წარწერა:

ქ: ში: მაცხოვარი: პირმლთსა: მე: || ერისთავი. შოშიტა: შემინყალე].

ამის ქვემოთ დეკორატიული აშია, მის ქვემოთ მსოფლიო ეკლესიის მამები, ხუთ-ხუთი თითო მხრით სარკმელისა. მათ ქარტები აქვთ ხელთ ასომთავრული წარწერებით. სხვათა შორის, აქ წარმოდგენილი არიან გრიგოლ ღვთისმეტყველი და წ იქროპირი. კუთხეებში ანგელოზებია.

ერის კაცთა ფრესკები საკმაოდ ყოფილა, ზოგი მათგანი დაზიანებულია და მხედრული წარწერა გადასული. კარგად მოჩანს ჩრდილოეთ კედელზე ქვემოთ, მუხლმოდრეკილი მავედრებელი ჭრელიძე ქველი წარწერით:

1. წმიდაო: გ~ი: მრავალძალისაო: მეუხ და მფარველ:

2. ექმენ: წ~ ღუ~ თისა: ჭრელისძესა: ქველსა.

უკანასკნელი სიტყვა უვაროვის გამოცემაში არ არის. ეტყობა ის ა. ხახანაშვილს ვერ ამოუკითხავს. ამას გარდა, ყოვლად მიუღებელია ხახანაშვილის აზრი, ვითომც წარწერა XI საუკუნეს ეკუთვნოდეს.

# ოქროს ფონდი

ამას ვერ იტყვის ვერც ერთი მკვლევარი, რომელსაც თუნდ ერთი მხედრული დამწერლობის ნიმუში ენახოს XI საუკუნისა; სინამდვილეში კი ამ ფრესკის წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი XV-XVI საუკუნეებზე ადრინდელი არ არის.

სამხრეთის კედელზე შერჩენილია სამი სურათი, ერთი წინა მდგომი, როგორც ეტყობა, ეკლესიის მაშენებელია, ვინაიდან ეკლესიის მოდელი უჭერია ხელში.

მესამე სურათის მარტო პირის სახე და მარჯვენა ხელი მოჩანს. წარწერები ამას ასომთავრულით ჰქონია, მაგრამ სულ გაფუჭებულია. რა თქმა უნდა, ესენი რაჭის ერისთავები უნდა იყვნენ. ისინი წითელი მოკლე ტანისამოსით არიან წარმოდგენილნი, დაბალი თავსახურავით, რომელთაც თეთრი ქუბა უვლის ქვემოთ. საზოგადოდ. მათი ტანისაცმელი, როგორც უვაროვის ქალიც შენიშვნავს, ათაბეგების სურათებს მოგვაგონებენ ზარზმაში.

მესამე ფრესკა წარმოადგენს ცოლ-ქმარს. მამაკაცი ისეთი ტანისამოსით არის, როგორც პირველ სამ ფრესკაზე, ცოლის პირისახე სრულიად მოშლილია, სამაგიეროდ მშვენივრად მოჩანს მისი მდიდრულად შეკერილი ყვავილებიანი კაბა. ამ სურათს უვარდოვისა არ იხსენიებს.

## ნივთები სორის ეკლესიისა

საეკლესიო ნივთებით სორის ეკლესია მდიდარი ყოფილა, მაგრამ ბევრი დაკარგულა არა თუ წინათ, არამედ მას შემდეგაც, როცა ეკლესია ინახულა მ. ბროსემ და პ. უვაროვისამ. გადარჩენილი ნივთები ძალიან დაზიანებულია. ჩვენ ვნახეთ:

1. კანკელის წინ დასადგმელი დიდი ჯვარი (296X131 სმ.). მარჯვენა და მარცხენა მკლავები ჯვარისაშე ძრონილი ყოფილა ვერცხლის ფირფიტებით, წმიდანების ნაჭედი სახეებით, მაგრამ უმეტესი ნაწილი მოძარცულია; გადარჩენილებზე მოჩანს სურათები: ზემოთ ტახტზე მჯდომარის მაცხოვრისა და მის ქვემოთ ზეზე მდგომი მთავარანგელოზისა ამოღებულის ხელით მარჯვენა ხელში, წარწერით: მქელ. სუა ნაწილში ჯვარისა მოჩანს შარავანდედი, რომელიდაც წმინდანისა და ქვემოთ მერმინდელი მხედრული წარწერა:

ჯაფარიძის ქალი  
მარეს. ამის მეტი ვერ  
შევსძელი. ყველა  
შეენიეთ. ამისი მადლი  
გერიათ.

მეორე ადგილას ჯვარისა გამოსახულია მთავარანგელოზი გაბრიელ ზეზე მდგომი, ლაბარუმით, მის ქვემოთ წა გიორგი ზეზე მდგომი, შუბით და ფარით. უკანასკნელი სურათი ჩვენ კიდევ ცალკე გადმოვიდეთ უფრო დიდად. ამას ლამაზი ასომთავრული წარწერა აქვს სახელისა: წა გი. ქვემოთ აქეთ-იქით ახლავს უშნო შესრულებული ასომთავრული წარწერა.

1. [ქმ]ოიჭედა
2. ნოზობსა
3. ელესნო

- მრკზის დეკ
- სულასასა
- ბა (სა)
- კობა
- ისძი...

უქარაგმოდ:

„ქ. მოიჭედა მარკოზის დეკანოზობასა, სულასასა ელოსნობასა კობა(ხ)ის ძისა.“

## 2. ნმიდის გიორგის ხატი, 27X20,5 სმ (სურ. 7).

წმ. გიორგი ზეზე მდგომარეა, შუბით და ფარით. წარწერით: წი გვი. ხელობა ტლანქია. ფენგები ბალახოვანი შემკობილებით. მარცხნივ იწყება და ქვემოთ გაგრძელებულია ასომთავრული დაზიანებული და გაუგებარი წარწერა:

მე  
კ  
ვქრა ე გგ  
ი...



## 3. ხატი ღვთისმშობლისა.

27,5X21 სმ. ყოფილი ფერადებით ნახატი, მხატვრობა ეხლა მოშლილია. ოქროთ დაფერილი ვერცხლის ფენგები დაცულია. ზემოთ ასომთავრულით განირჩევა ასოები.

დღ რთ

ღმ სი

## 4. მთავარ ანგელოზის გაბრიელის ხატი, 60X41 სმ.

სმ. ოქროთ დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, ბურთით და ლაბარუმით ხელში, ლამაზი ხელობისა. წარწერა ასომთავრულით:

გბლ მთრი  
აზი

5. მაცხოვრის დიდი კარედი ხატი. წამლით შესრულებული, მხატვრობა სულ მოშლილია, ფენგები მოყვითლული ვერცხლით შეჭედილი გამოსახულებებით და ბალახისებრი შემკულობით; ზემო ორ ფირფიტაზე გამოსახულია მთავარანგელოზი; ორზე კი ჯვარცმა; ეხლა სულ გაფუჭებულია და უმეტეს შემთხვევაში მოძარცული.

წინაპირზე, ქვემოთ, მარცხენა კუთხესთან პ. უვაროვას დროს ყოფილა წარწერა შერეული, უშნო ხუცურ მხედრული ასოებით, რომელიც ჩვენ დროს აღარ იყო (ფოტო 95). წარწერის პირველი ნახევარი კარგად იკითხება, დანარჩენი სავარაუდოა. წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ჯვარცმისა: ხატო

მეოს და მფარველ ექმენ: მირიანს (?)  
(მეოხ) ექმენ იაკუბ ისტატსა მისა მეუ  
ღლეს (?)

გამრავლება შემდეგ ნომერში  
(სტილი დაცულია)

“რაჭველები” № 7



სერგი მაკალათიას ნიულილი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესრულებულის კუთხით განუზომებია. საინ-ტორესოა მისეული ყოველი კვლევა და გადმოცემის სტი-ლი, აჯარად მიძღა გაგაცნოთ მისი ნაშრომი რაჭაზე, რომელსაც მომდევნო ნომრები განვაგრძო.

## მთის ჩაჭის ბერბეკიულ-ისტორიული მიმოწილი

მთის რაჭა მდებარეობს მდინარე რიონის სა-თავისა და გლოლის ან ჭანჭახის წყალს შორის: ჩრდილოეთის განედის 42038 და აღმოსავლეთის სიგრძედის 43022-43051 მუნ. მას უჭირავს დაახლოე-ბით 640 ოთხეუთხედი კილომეტრი სიბრტყე. იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარ ქედსა და შოდა-კედელას ქედს შორის და თავისი საშუალო სიმაღლით 3.800 მეტრს აღმატება, ზღვის დონიდან. მთის რაჭა შემოზღუდულია მაღალი მთებით: ფასის 3.787 მეტრი, გეზე 3.870 მ. ლაბო და ნითელი 4.317 მ, 4.137 მ, ბურჯულა 4.356 მ, შოდა 3.607 მ და სხვა.

ამ მთების ფერდობები და კალთები 2.600 მეტრამდე ტყით არის მოსილი, ტყის საზღვარს მიჰყება ალპიური ზოლი, რომელიც სუბალპების მდელოების მთლიან ხალითაა დაფარული და ზაფხულობით საკვებს აძლევს რამდენიმე ათას სულ საქონელს. შემდეგ იწყება ტიტველა კლდეები და თოვლიან-ყინულიანი დაწვეტილი მწვერვალები.. ეს მყინვარები ასაზრდოებენ რიონის სათავის ტოტებს: ჩვემურას, ნონარულას, ჭანჭახს და სხვა, რომლებიც უხვად რწყავენ ამ ხეობას და რიონს ერთვიან, ჰავა ტყისა და მთის ველისაა. აქ წლის განმავლობაში ცივი ამინდებია (წლის საშ. ტემპერატურა 50-ია), ზამთარი კი ძლიერ ცივი და თოვლიან-ყინვებიანია. იანვრის ტემპერატურა — 120-დან — 180-დება, გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა ადრე, ზაფხული გრილია და მოკლე. ივლისის ტემპერატურა 100-დან 140-დება. ატმოსფეროს დანალექის რაოდენობა 1000 მილიმეტრს აღწევს და უმთავრესად თოვლის სახით მოდის.

კავკასიონის მთავარი ქედი ამ ჭანჭახის მთასთან საკმარისად დაბლდება — 2850 მეტრს უდრის და ქმნის ჭანჭახის ან მამისონის გადასასვლელს, რომელიც აერთებს რაჭა-იმერეთის გზატკეცილს (ეგრეთ წოდებული ოსეთის სამხედრო გზით) არდონის ხეო-ბის გზატკეცილთან, ამ მთავარ გადასასვლელთან, რომელსაც რაჭისათვის უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, არსებობს აგრეთვე საცალფეხო ბილიკებიც, მაგალითად, სოფ. ღებიდან და გლოლა — ჭიორიდან კირტიშოს, ღრჯამის და ნონარის ბილიკებით რაჭველები დიგორში გადადიან. ამ გზებს ვახუშტი ასე აღვინერს: „რიონის სათავიდან გარდავალს გზა კავკასზედ გლოლას, სადა არს კავკასიის ძირში, დიდს მაღალს კლდესა შინა, ქვაბინი

გამოკვეთილი დიდ-დიდინი, მოგზაური მივალს მის ქვაბსა და დილას წარვალს, ჩავალს გლოლას. აგრეთვე მუნიდან მოსრული მუნ განისავენებენ და შრომისათვის და მეორის ამის რიონიდან გარდავალს გზა ღებს. არამედ ამ გზებზე ზაფხულით ცხენით ვლენან, გარნა ჭირითა დიდითა, და თვინიერ ზაფხულისა — ვერც ქვეითინი“-ო (იხ. მისი საქარ. გეოგრაფია გვ. 193-194).

მთის რაჭა შეიცავს ღებისა და გლოლის თემს და შედგება სამი სოფლისაგან: ღები (1550 მეტრი, ჭიორა (1500 მ) და გლოლა (1400 მ). მისი მოსახლეობის რაოდენობა 1926 წლის სტატისტიკური აღწერის მიხედვით ასეთია:

სოფ.	კომლი	მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ
ღები	415	1376	1445	2821
ჭიორა	207	638	763	1401
გლოლა	101	434	487	921

შეჯამებით მთის რაჭის მთელი მოსახლეობა შე-დგება 5143 სულისაგან. დასავლეთით მას საზღვ-რავს რაჭა-სვანეთის ქედი, რომლის უმაღლესი მწვერვალები ჭუთხარა და ლაფინყალი 3.500 მეტრს სჭარბობენ, აქ არსებობს ორი საცალფეხო გადასავალი, ერთი ფასის მთის გადასასვლელი, მარყალში და მეორე კი ვაცის წვერით სვანეთში. აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით მთის რაჭას საზღვრავენ: ოსეთი, ყარაჩა და ბალყარეთი, სამხრეთით მთავარი გზატკეცილი მას აერთიანებს რაჭა იმერეთთან და მთელ საქართველოსთან. ამგვარად, მთის რაჭა სოლივითაა შექრილი და მიბჯენილი კავკასიონის ქედს და ქმნის რაჭის კავკასიონს.

მისი გეოგრაფიულ მოხაზულობით ეს რელიეფი ერთგვარ დაეჭვებას ინვევს მთის რაჭველების აბორიგენობის შესახებ, რომელი საკითხიც უშეუალოდ დაკავშირებულია თვით რაჭველების დასავლეთ საქართველოში გადმოსახლების პრობლემასთან. სამწუხაროდ, ეს კუთხე არქეოლოგიურად და ისტორიულადაც ჯერ შეუსწავლელია და ამიტომ ძნელია ამაზე რაიმე გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა. მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის აღმოჩენები, რომელსაც ადგილი აქვს მთის რაჭაში, აშკარად უჩვენებს, რომ ღებში, ჭიორში და გლოლაში ადამიანს უცხოვრია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, რამდენიმე საუკუნით ქრისტეს წინათ. ამას მოწმობენ სოფ. ღების მახლობლად, რიონის მარცხენა მხარეს ადგილ „ბრილში“ აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ქვის

## სტორია

ყუთის აკლდამები. დღეს ეს ადგილი ეკუთვნის ოყა ჯაჯონთ ლობჯანიძეს, რომელსაც მიწის ხვნის დროს არა ერთხელ გაუხსნია აღნიშნული აკლდამები. ერთი ასეთ აკლდამიდან, რომელიც მისივე სიტყვით ქვის ბრტყელ ფილაქნებისაგან ყოფილა შემდგარი და მიცვალებულის შემკული ნეშთი სვენებულა, მას ამოუკრეფია თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები, ქანდაკებები და მძივები. ამ ნივთების უმეტესი ნაწილი მას კავკავში გაუყიდია, მხოლოდ მძივები და ერთიც ბრინჯაოს სამაჯური ინახება საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში. შემდეგ ფრიად საყურადღებოა აგრეთვე 1928 წელს სოფ. ლებში, ადგილ „შოშეთში“ აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთა, რომელიც მიცვალებულს წელზე პქონია შემორტყმული. ამ ბალთაზე ლამაზ ხელობით გამოსახულია ლაგამ ამოდებული ცხენი, რომელსაც ზურგზე ხარია აზის და ფეხებში უტევს მყეფარი ძალი.

ასეთივე ტიპის რამდენიმე ბალთა სოფ. ლებში ნაპოვნი, შემთხვევით შეუძენია გრაფ უვაროვას და ლებში თავის მოგზაურობის დროს მას ვერც მისი აღმოჩენი და ვერც აღმოჩენის ადგილი უპოვნია. ამიტომ აღინიშნულ ბალთების ლებში აღმოჩენის სინამდვილე მას ეჭვის ქვეშ აქვს დაყენებული. „შოშეთის“ ეს აღმოჩენა ფანტავს ამგვარ ეჭვებს და ადასტურებს მათ სინამდვილეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსივე ბალთები ჩვენში ჯერჯერობით აღმოჩენილია საელიოში (რაჭა), იყოთში (ქართლი), სურამში, მანგლისში და თრიალეთში. ყველა ამ ბალთებზე სხვადასხვა ვარიაციით მხატვრულად გამოსახულია ფანტასტიური ცხენი, ირემი და ხარი. ზოგს მათგანს ნუკრი ან ფრინველი სწოვს, ზოგს კი მექებარი ძალი და სხვა.

ბალთის ამ სახეების გამოსაცნობად წამოყენებულია არა ერთი მეცნიერული ჰიპოთეზა, მაგრამ მათი საბოლოო ამოკითხვა მეცნიერებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს. მით უმეტეს, რომ ამ ცხოველების კულტთან დაკავშირებული ქართული ხალხური რწმენისა და რიტუალის გამოყენებით ჯერ არავის უცდია ამ ბალთების მეცნიერული გარკვევა, რომელსაც შეუძლია მათ საიდუმლოებებს ერთგვარი შუქი მოჰყონოს.

შემდეგ არქეოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ჭიორის მიდამოში მდებარე ადგილი „შხიროლი“, სადაც ჩნდება უფრო გვიანდელ დროის, ქრისტიანობის ხანის სხვა და სხვა ნივთები და სამკაულები. ერთი სიტყვით, ამ მცირეოდენი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით მაინც ირკვევა, რომ მთის რაჭა უძველეს დროიდან დასახლებული ყოფილა, მაგრამ ამ მოსახლეობის ვინაობის გამორჩევა ჯერჯერობით მეტად ძნელია. მხოლოდ შემდეგში, როგორც ეს ისტორიული ცნობებიდან და გეოგრაფიული სახელების ნომენკლატურიდან ირკვევა, დღევანდელ მთის რაჭის ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობა გავრცელებულია და კავკასიონის მთელი ეს კუთხეც მე-XV საუკუნის პირველ ნახევარში სვანეთს ჰქონდა. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ერთი

ფრიად საყურადღებო 1432 წლის ალექსანდრე მეფის სიგელი, სადაც მოთხოვბილია ამ კუთხის სისხლიანი თავგადასავალი. აი ამ სიგელის ტექსტიც:


„მოუგდით და თქუენი ბიძანები თვალია და ივანე მოვენივნეს და შეგვებნეს. მოვერია ცოდვა, ეშმაკის მანქანებითა შემოგვერივნეს. მერმე დაგვიწყეთ მტერობა თქუენ ჯაფარიძემან სარგის და აღარც გავიშვით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშაოდ გამოგვიშვით, შვიდს წელინადსა ასე ვიყიენით, რომე სრულიად სვანეთის ქვეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშვიდეთ და არცა ვის მარილის გემო გვინახავს. მერმე მიგვჭირდა და აღარა ღონე გვექონდა. შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თვითოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყევით.

ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გვახლდა გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავჰკიდეთ ღვინო და წამოვედით. თავი მორქმული გვეგონა, აღარას მოველოდით. თურმე კუჭაიძე და ლაშხიშვილი შემოჩენილი გვყუა, როგორც ჩუენ სავაჭროდ ჩამოვედით, კუჭაიძესა და ლაშხიშვილს თქუენთუის კაცი გამოეგზავნა. თქუენ სრულიად რაჭველნი შეგეყარადასრემოსულიყვენითებეტაშიგა, რომჩუენ თქუენი მოსვლა ვერათ საქმით ვერ შევიტყევით. წინათ თქუენ დაგხუდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყანიძე მოვენივნეს, გავიყავით წინა უკანა და დაგვლოცეთ და ამოგვწყვიტეთ, რვაასის კაცისაგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცი დაგვლოცეთ და ოთხასი ცხენი, ყუელას ღვინო ეკიდა, მისის საპალნით წაგვართვით. ამას გარეთ სხუა მრავალი მტრობა გვიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგებარენით. ამისი ღონე ვერ დავდევით, რომ გზა გვეშვონა. ასი სვანი დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდა წავედით, მის წასვლა ვერ შეგვიტყევით და მერე შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავე დვალეთზედ წამოვედით, დაგვედით გლობას და ჭიორსა შუაზედან და მოგვიჭირეთ, ელთა დაგვცარცვეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბეთ გაუშეით, სხუა ყუელატყუეთ წაგუასხით, ჩუენისმონაგებიანად ონს მიგუასხით, სქონელი სალაროში შეიტანეთ და ჩუენ დარჯილნი საბრალონი სალორესა და საბატეში შეგვყარეთ. ნააღდეომევიდალმა ენკენისთემდის იმაშიგ ტყუედ ვიყვენით, ღონე აღარ გუექონდა, დავი სენით თავი და თვითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიდეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ. სხუა რამდენი ჭირი და მტერობა გარდაგვეკიდა კაცის ენა როგორ იტყვის, ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სვანეთი არის, თორმეტს წელინადსა ასრე შეწყვდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერცა გურიისაკენ, ვერ ვიმტირეთ და მერემე სევიყარენით სრულიად სვანთ ჩენილები და ვენენით ვაზიორბა. მოვედით ეცერს, რუჩაგიანსა და დადისკელიანსა შევეხვენენით და დადიანთან გავგზავნეთ. შევეხვენენით დადიანს მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ. ამისი აჯა ვსთხოვეთ, რომ მეფეთ

პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეშოვნა. ღმერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა, ჭყონდიდელი გაეგზავნა და შესვენოდა ალექსანდრე მეფესა, , ეკაციებინა და ეპატივებინა ბატონის დადიანისათუეს და ასრე ეპრძანა მეფეთ მეფესა პატრონსა ალექსანდრეს თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო. თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიხდიანო, სვანთ გზას მივცემო და ჯაფარიძესთანაც ჩამოვხნითო, თუ არა და ჯაფარიძის საქმეს არ გარდავსწყვეტო, ჯაფარიძენი უბრალოდ დოცესო, მწვედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო და თუ ამ ჯაფარიძის საქმეს გარდასწყვეტო, მოიყენე კარსა და რა რიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ ჯაფარიძესაც გარდაუწვიტონ და შემოვიწყობთო. ამაში გამოხდა ხანი და მივედით დადიანთან სრულიად ჩენილები. წამოგვიძლუა თუითან ბატონი დადიანი და გეგუთს მივედით, შეიქმნა საქმობა და სანახშირე გვთხოვეს ჯაფარიძეთა. დასხდეს თუითონ მეფეთ მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზვიადი, ჭილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირეჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი. ქმნეს მოკითხული და სიგელიც მოატანინეს ჯაფარიძეთა და მეტად უზომოდ დიდი სისიხლი და სინხშირე ენერა. ამაზედ იანგარიშეს და სამასი კაცი მოეკლა ჯაფარიძეთა და სხუა მრავალი ავი დამართებოდა. ჯაფარიძესთან სვანთა. დაუდევით სიგელი სვანთა და გარდაიხადეს და მოვაცემინეთ ლაშეთს სოფელი და ციხე, ზერიასცხრა კუამლი. კაცი და ერთი მომცრო მონასტერი წმინდის გიორგისა თექესმეტით, ჯვარ-ხატით, ოთხთავითა, სანინასნარმეტყველოთა, სამოციქულოთა, მარხვანითა, ტაბაკონითა სტოდიელთა. ამას გარდა მოგეციო ოსეთის პირად მთიულეთს ხიდურიას ოციგლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი, ერთი დიდი გუმბათიანი მთავარ ანგელოზთ მონასტერი ორით დიდით ოქროს ხატითა, ორმოცდათვრამეტით სხუა დიდით ხატითა, თორმეტი ოქროსა და ვერცხლის ქნდლითა მისით სამონასტროს წიგნებით, დიდი გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოთა, სანინასნარმეტყველოთა, მარხვანითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა, ერქენისნის წინამძღვართა მეორე წმინდის გიორგის საჯანის დიდი სიონი მონასტერი ოცდათორმეტი ჯვარი ხატითა და რაც სამონასტო წიგნი არის მით სრულიად გათავებული და საბატონო დეკანოზი, წინამძღვარს ოცი კუამალი კაცი და დეკანოზს რვა კუამლი კაცი. ამის გარეთ იქვე კიდურს ერთი აზნაურიშვილი ხოხაგიძე მისით ციხითა, თორმეტი კუამლით კაცითა, სხუა მთიულეთს ციხე დ სოფელი ბრალი ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია თხუთმეტი პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულებით შემკობილი, თევარეშოს თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე და არიშიძე ლომი მისით ციხითა, ორმოცით კუამლი კაცითა, ზედა ქალაქსა კარგი საპატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა

საეფისკოპოზო მისით მოთვალმარგალიტურით ომფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოზისა და იმისთანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებითა სრულიად გათავებული ასის კუამლით კაცითა და ღებს ორი აზნაურშვილი გიგაშვილები მისით ციხითა და სამოცდათორმეტი კუამლით კაცითა. შოდას წმიდის გიორგის ეკლესია და სოფელი ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე; ჩუჟოს ციხე და შვიდი გლეხი; ჭიორას ციხე და სოფელი თექუსმეტი კუამლი გლეხი, ბუბას კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი, ეკლესია კარგის ჯუარ ხატითა, ოცდახუთი გლეხი, სხუა ღების შესავალი სოფელები ჯუმლად ოთხასი კუამლი კაცი, სამი საშავარდნე, სხუა ყოვლის დღიოს სანადიროები საჯიხევე, ზოფახითო, კირტიშო, ედენ, გილოიამა, რიონის სათავე, სხუა სანადიროები არჩევისა, ამ მამულს გარეთ სამასი სამანქანური და ზედაური აბჯარი, სამასი ვერცხლის ჭურჭელი სურათებში, ჩოლათო და თასი, ვერცხლის ტაშტი, ნურნუმია, კახე მეფის ნაპარევი. ამას გარეთ სამასი დიდი და სუბუქი ქუაბი, სამასი ჯორი, სამასი კარგი ულაყი, ამას გარეთ ვეღარა ამოგვივედით, არ შეგვჯერდით, ამისათუეს რომე თქუენი სწორი კაცი სვანეთს არ იყო და სხუა ვეღარა ლონე ვქენით სრულად სვანეთა ეცერს აქათ ყუელემან თქუენი ბაჟი დავიდევით სრულად მულახელთა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატარის შესავალთა, უშეულელთა და უშეულის შესავალთა, ანე მოვისესნებია გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიულეთის თემი მათით სამართლიანითა მთითა, ბარითა, საყდრებითა წყლითა და წიქვილითა, სათევზითა, სანადიროთა, ველითა, სათბითა, მისითა მიმდგომითა მართლით სამართლიანითა საძებრითა და უძებრითა, მისით ყოვლითა. გქონდეს მევიდრად და სამამულოდ თქვენ ჯაფარიძესა სარგისს, აბესალომს და ვამიყს. ვინც ეს მოგიშალოს და შეგვიცვალოს, წყეულიმც არის აქა და მერმესა მას საუკუნისა ორთავე ცხოვრებათა შიგან, ან თემისაგან, ან ბაჟისაგან სადამდის სვანეთი იხსენებოდეს, ან ჯაფარიძის გვარი იყოს ან იხსენებოდეს. ვინცა შეგვიცვალოს და ან მოგიშალოს, შემცაიცვლების ქრისტიანობის სჯულისაგან, რისავმცა მამა, ძე და სული წმინდა. ანე გქონდეს მკუიდრად და სამამულოდ წიდროთას ზედათი და გლოლას ზედათი, სვანეთის იქით, ოსეთს ქათი და სრულად მთიულეთი ოთხასი კუამლი აზნაურშვილიანად, გლეხიანად, სრულად ეცერს აქათ რაც სვინი იყოს, ყველამ ბაჟი (მოგვცეს) გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც ნასისხლსა მართებდეს, ვინც ან ამ მთიულეთს დაგეცილოს და ან ბაჟსა, ამისი პირისა და პასუხის გმცემი ჩუჟე სრულად სვანენი ვიყვნეთ, ამას გარეთ სალაპოდ მოგახსენებთ სამასი ნებიერი, ათასი ცხვარი და სამასი ლიტრა სამთელი. დაინერა წიგნი ესე ქორონიკონსა რკ და ერთსა, კელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილის ფალავანდისითა, მონამეცავარ ამ საქმობისა“.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



აპოლონ ჩიჩეაშვილი მეუღლესთან ერთად

ზემო რაჭის დასახლებული პუნქტების შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ 1432 წელს აღექსანდრე მეფის მიერ გამოცემული სიგელი გვაწვდის, სადაც მოხსენიებულია: ონი, ღები, ჭიორა, გლოლა, ჭიდროფა, ზედაქალაქი, ბუბა, ჩუში, თევრეში.

ამჯერად ჩვენ სოფელ გლოლაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, სადაც თამარმა თავის ნატერფალზე ეკლესიის აშენება ბრძანა. სადაც საბასეული ქართული დღესაც მკაფიოდ უდერს და მთათა მობანე კავკასიონის ნაურით გაზრდილი რაჭველები ქართველობაში ტოლს არავის უდებენ. სადაც ბრძენი ვაჟასი არ იყოს „ქალად ქალაბდის

და ვაჟად ვაჟაბდის“, ამით არის უკეთესი და სანუკვარი აქაურობა. სუფთა ქართული გესმის და ხედავ, ტვინი ქართულად არის მომართული და გული ეროვნული შემართებით ძეგრს.

ხალხი ცივილური, მაგრამ რაფინირებულია. დრომ ჩვენდა საბეჭინიეროდ აქაურობის ქათქათა, სპეტაკი სული ვერ გაანაცრისფრა, ისე, როგორც დაბლა ბარად ხდება. ჩაცმა, დახურვა, ქცევა, საუბარი, ოჯახის შვილობა თუ სახლიკაცობა დედა კავკასიონივით წმინდა და ურყევია. მათი აკვანი ხომ კავკასიონის ძირში დაირნა. მშოოთვარე ჭანჭახი დუდუნით ნანას უმღერდათ, ტუჩებს დედის რძესთან ერთად „ვეძით“

და სიმაღლეში ცადაზიდულ მწვერვალებს ეპაექრებოდნენ. ეს ღმერთის საუფლოა, წალკოტია, ბედნიერებაა. უფალი აქაურობის ფონზე საღვთო სარეცელს გიმზადებს, ფრთებს გისწორებს და საფრენად განგარებობს.

სწორედ ამ წალკოტში 1929 წელს, გიორგობის თვეში, ზაქარია ჩიჩეაშვილის ოჯახში კიდევ ერთი ბედნიერი ვარსკვლავი აკიაფდა. ვაჟი გაჩნდა, პოეზიის, სინათლისა და მუზების წინამდლოლის,

## ცხოვრების შემოდგომა



გლოლა. 1936 წელი. ჩიჩიაშვილი ზაქარია  
შვილებთან თინასთან და აპოლონთან ერთდ.

აპოლონის სახელი დაარქეს. ჭკვიანი, ცოხცალი და ენერგიული ჭაბუკი იყო. აქტიურობით მთელი სკოლა გააოცა, სცენაზეც ხშირად გამოდიოდა და სითბო-სილალით აღსავსე ლექსსაც შეუდარებელი ოსტატობით კითხულობდა.

გულლია იყო და გამორჩეული. ჩინებულად სწავლობდა. ყველას უყვარდა, ყველა უსმენდა, აფასებდა. სკოლა წარჩინებით დაამთავრა და სწავლა თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო. 1952 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, საიდანაც ოფიცრის წოდებით დაბრუნდა. აქვე დაამთავრა დივიზიის ორწლიანი პატრიული სკოლა, რის შემდეგაც აირჩიეს დივიზიის კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის პირველ მდივნად.



ვეტერანთა მოძრაობის ლიდერები საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელები. მარჯვნიდან: I-აპოლონ ჩიჩიაშვილი, 2015 წელი 9 მაისი

## ცხოვრების შემოდგომა



აპოლონ ჩიჩებაშვილი ომის ვეტერანებს გერმანიაზე  
გამარჯვების დღეს ულოცავს. 1997 წელი.

1954 წელს იგი დემობილიზაციით დაბრუნდა ონის რაიონში.

1956 წელს მას ირჩევენ კომიტეტის მდივნად.

1959 წელს, ბატონი აპოლონი ონის რაიონის რაიკომის ბიუროს დადგენილებით სოფელ გლოლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ინიშნება:

აპოლონი მაღალის ინტელექტისა და ორგანიზაციული ნიჭის წყალობით გლოლის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მონინავე გახდა რაიონში.

1962 წელს იგი გადაჰყავთ ონის რაიონის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად. 1963 წელს კი რაიონის ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად დანიშნეს, სადაც ვათეული წელი იმუშავა. აპოლონ ჩიჩებაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ონისა და ამბროლაურის რაიონების, კვაისის ტყვიაცინების მაღაროთა სამმართველოს სისტემაში, ასევე აქტიურად მონაწილეობდა როგორც სამრეწველო, ასევე სამოქალაქო ობიექტების მშენებლობის საქმეში.

1996 წელს ბატონი აპოლონი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტექნიკური მომზადების სამმართველოში უფროს მშენებელ ინჟინრად ინჟინერს მუშაობას. 2003 წლიდან, როგორც თავის საქმის კარგი მცოდნე გადაჰყავთ თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო კომპანია „უტრა“-ს თანამშრომლად, სადაც უდიდესი წვლილი შეიტანა თავდაცვის ობიექტების მშენებლობის საქმეში.

აპოლონ ჩიჩებაშვილი უკვე ოცდახუთი წელია რაც თბილისში, დიდუბის რაიონის შრომის

ვეტერანთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობს. არის საქართველოს ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის წევრი და საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე.

20 წლის მანძილზე არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად.

1946 წელს აპოლონ ჩიჩებაშვილი დაჯილ-დოებულია მედლით შრომითი მამაცობისათვის. არის საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

2001 წელს თავდადებული შრომისათვის გადაეცა სახელმწიფო ჯილდო-ლირსების ორდენი.

დამსახურებითა და წელთა სიმრავლით დახუნდლული ბატონი აპოლონი დღესაც მხნედ, შემართებით იღწვის, ბრწყინვალედ აზროვნებს და ღმერთს განვლილი წლებისათვის მადლობას სწირავს.

აპოლონ ჩიჩებაშვილი გულისხმიერი, ერთგული, ლირსეული მამულიშვილია.



არსენ ჩიჩებაშვილი ზაქარიას ძე დაბადებული 1912 წელს. 1942 წლის 25 იანვარს გაიწვიეს დიდიდ სამამულო ომში. 1943 წელს გმირულად დაეცა ფრონტის ველზე, და კრძალულია ქ. ივანოვოში.

ხანგრძლივი, ჯანმრთელი სიცოცხლე მინდა გისურვოთ, ბატონო აპოლონ! თქვენ მართლაც და ის კაცი ხართ, რომელიც ერთნაირად ამშვენებთ სოფელს თუ ქალაქს.

მრავალუამიერ, თქვენი სიცოცხლე!

6060 რაცვიაზვილი

## როგორ ვუკრისით კარის ჩიჩერაზიდე ეგრძელები

საქართველოს შრომის ვეფერანთა კავშირის არაზიდიშის თავმჯდომარეს  
პოლონ ჩიჩერაზილს

ღრმა პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით, სახელოვან მამულიშვილს, ნამდვილ კაცურ კაცს და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს აპოლონ ჩიჩისაშვილს კეთილი მოგონების ნიშნად ჩვენი საქართველოს ვეტერანთა ცენტრალურ კავშირში ერთობლივი ხანგრძლივი მუშაობის და ურთიერთობის კეთილად მოსაგონებლად. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, გენერლ-მაიორი გიორგი ხაზარაძისგან.

23.12.2014 წელი

**ჩემს მეგობარს ვიცე-პოლკოვნიკს**

**აპოლონ ზაქარიას-ძე ჩიჩისაშვილს**

აზოლონ! ჩემთ მეგობარო, თანაკლასელო, მინდა სათქმელი ღექსის სახით, რომ მოგახსენო. ზოგი რამ ჩვენი წარსულიდან, რომ გაგახსენო, და ზოგი ჩვენი თანატოლი კიდევ ვახსენი. სომ კარგად გახსოვს ადიგენის სოფელ მოხის ჩვენი სკოლები;

ჭეშლის, ღორთუბნის აფიეთის მისაღიომები. უნივერსიტეტი, მისაღები გამოცდები, და შენგან ქმნილი ნაბიჯები გასაოცები. გენერლობამდე დაგრჩა მხოლოდ ერთი ნაბიჯი ეველა საქმეში გაამჟღავნე აზრი და ნიში. მრავალი ჯილდო და მაღლობა დაიმსახურე, ქართველმა კაცმა უხვი სუფრაც ბევრჯერ დახურე ესლაც სამშობლოს შენ ერთგულად ემსახურები ჩვენ გვიხარია შენი წინსვლა მრავალი ჯილდო, ღირსების ორდენი, სიგელები და ქება, ღიღება. აღარა გვეაგან ჩვენი კარგი თანატოლები გიორგი, მიშა სანატრელნი, მოსაგონელნი. აქ შევაჩეროთ კალაბი დავუდოთ რითმებს საზღვარი ზოეტი სომ არ გვინიგარ ღექსებით გაუმაძლარი, გარ მხოლოდ კაზმული სიტყვის

ჰატიფესემელი მოყვარე

და კმაყოფილი იმითაც თუ კაცს ზირს ღიმი მოგვარე.

**ნესტორ (ალიოშა) რეცენაზილი**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

17 აპრილი 2014 წელი

**საქართველოს შრომის, ვეტერანთა კავშირის**

**თავმჯდომარეს აპოლონ ჩიჩისაშვილს**

შრომის და ომის ქარცეცხლის

ვეტერანთა სარ დამცეველი

მე - მათთან ერთად გისურვებ

იუო დღეგრძელი, ჯანმრთელი.

სიწმინდის ეტალონი სარ

შრომაში მოუქანცავი

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი

როგორც შენახარ ქართველი.

ქარიზმატულ ცე გამწერალის

სიტუა მაქს საქმით ნათელი

ხშირად ცხოვრების გზა მყვლევი

როგორც ბეჭედი სანთელი.

მამისონთან ჩვენს მებრძოლებს

ჭურგში ედექ სალ-კლდედ მეარად

შენ სამშობლოს სიუგარული

გქონდა მტრისგან დამცეველ ფარად

თმა დათვევილთა ქომაგი

ლეგენდარულ რაჭელო.

**ვალ გამყრელი**

**საქართველოს დამსახურებული**

**ინჟინერი, ნოვატორი,**

**გამომგონებელი, რაციონალიზმი**



# გივი სიხარულიძე

## ნოველები

### ღვთის შვილები

ბათუმში მეგობრის დაკრძალვაზე ვიყავი. პროცესიას უამრავი ადამიანი ესწრებოდა. ძალიან ვწუხდი ჩემი მოყვასი კაცის დაკარგვის გამო. თაკარა მზე ისე ანათებდა, თითქოს იქაურობის ჩაფირფვლას ლამობსო. უცებ უცნობი ქალი წამომეწია, ხელით თავისკენ მიმაბრუნა და აღფრთოვანებულმა ყველას გასაგონად მითხრა: — მე თამარი გახლავართ, ჩემი სახელი თქვენთვის არაფრის მთქმელია, რომ იცოდეთ როგორ მიყვარხართ, თქვენი ერთგული მაყურებელი ვარ. თქვენ მიერ შესრულებული როლებიდან დაწყებული რეკლამებითა და ტელეგადაცემებით დამთავრებული ყველაფერი ზეპირად ვიცი.

გავუღიმე, მხარზე მოვეფერე, გმადლობთ ამ სიყვარულისთვის — მეთქი ვუთხარი და გზა განვაგრძე. ამასობაში საფლავს მივუახლოვდით, თავი ხეს შევაფარე. ქალბატონი თამარიც იქვე, მოწყალების მთხოვნელთან გაჩერდა. — ვინ არის ეს ქალი? ვკითხე მეგობარს — არ ვიცი, პირველად ვხედავო, მითხრა. უცებ ვიფიქრე იქნებ, ესეც მოწყალების მთხოვნელი არის-მეთქი და მოკრძალებით მივმართე: — ქალბატონი, თქვენ ვისთან ხართ? — მცირე პაუზის შემდეგ ხელები ზეცისკენ აღაპყრო, ცას შეხედა და მიპასუხა: ღმერთთან ვარ, ღმერთთან!

ყველაფერს მივხვდი, უმალვე ჯიბიდან ფული ამოვიღე და სიყვარულით ვაჩუქე. — დიდი მადლობა, ღმერთმა გაგახაროსო, დამლოცა. აი, მაშინ კი ჩემ სამეგობროს მივუბრუნდი და ვუთხარი: ვისაც მე გიყვარვართ ამ ქალს ფული აჩუქეთ, ჩათვალეთ, რომ მე მჩუქნით-მეთქი. ძალიანაც არ ესიამოვნათ, მაგრამ მაინც ყველამ ჯიბეზე

ხელი გაიკრა და ქალბატონს გარკვეული თანხაც შეუგროვდა. გაიხარეთ, გაიხარეთო იძახდა. მე კი ჩემი საქციელით კმაყოფილი დაკრძალვის შემდეგ გარეთ გამოვედი, მანქანაში ჩავჯექი, წასვლას ვაპირებდი, რომ მეორე ქალბატონი გამახსენდა, ეს რა სისულეელე ჩავიდინე მეთქი, მანქანიდან სწრაფად გადმოვხტი და გიუივით ისევ სასაფლაოზე გავვარდი. ყველა მიხვდა, რომ თვალებით ვიღაცას ვეძებდი, ვხედავ ის ორი მოწყალების მთხოვნელი ისევ ერთად დგანან. ჯიბიდან გარკვეული თანხა ამოვიღე და მეორე ქალს ვაჩუქე, გაეცინათ. იცით თუ არა, ჩემო ბატონო, ახლა თქვენზე ვსაუბრობდით. ჩემ მეგობარს ვუთხარი, აი, ნახავ თუ ეს შენი გივი უკან არ შემობრუნდეს-მეთქი, მართლაც ასე მოხდა. ვიცოდი, რომ მე ღვთის ანაბარა არ დამტოვებდი, არც თამარს დავუტოვებივარ უყურადღებოდ, იმ თანხიდან რაღაც ნაწილი მეც მერგო. საუბრის დასასრულს წასასვლელად მოვემზადე. ჩვენც შენთან ერთად წამოვალთო, მითხრეს, — წამობრძანდით — მეთქი, ვუთხარი და წინ გავატარე. როცა კარებთან მსხდომ მოწყალების მთხოვნელებთან მივედით, ქალმა ჩანთიდან გარკვეული თანხა ამოიღო და მათაც სათითაოდ დაურიგა, თან მითხრა: იცოდე, ჩემო ძმაო, ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართ. აბა, ახლა ღმერთი იყოს შენი მფარველიო, დამლოცა და დაგვემშვიდობა. გზად მიმავალს ყურში მათი წარმოთქმული სიტყვები ჩამესმოდა; — ღვთის შვილები ვართ, ღვთის შვილებიო. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, რომ ამ ცრუპენტელა ქვეყანაში 5 წუთით მაინც მომეცა მე, თავად ცოდვილს ამ ღვთისშვილებთან ერთად ყოფნის საშუალება.

## სიმღერა და ნიბლია

თბილისის ზოოპარკში, ჩიტების გალიაში აფრიკული ჩამოყვანილი დედალ-მამალი ჩიტი მოეთავსებინათ. დილით, ალიონზე ისინი რომ ჭიკიკს დაიწყებდნენ, უფრო საამოს რას მოისმენდა კაცის გული. მართალია თავისუფლება წართმეულები იყვნენ და თავის ცხოვრებას გალიაში ატარებდნენ, მაგრამ ერთად ყოფნის გამო თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში. მომვლელი, ლუბა დეიდა მამალ ჩიტს ხიბლიას ეძახდა, დედალს კი ნიბლიას. მას ორივე ძალიან უყვარდა, ხშირად საჭმელს თავის ხელით აჭმევდა. ნიბლია მარცვლეულს პირდაპირ ხელის გულიდან კენკავდა. ერთ მშვენიერ დღეს მომვლელი მათ ალერსში გაერთო, ნიბლიამ კი დრო იხელთა და ღია სარკმელიდან გამოფრინდა, ხიბლიაც ეცადა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ ამაოდ, მომვლელმა კარის დაკეტვა მოასწრო. გაფრინდა ნიბლია ისე, რომ ხიბლიასკენ არც კი მოუხედავს. მიღალატაო, იფიქრა ხიბლიამ, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში ნიბლია უკან მოფრინდა, კარებს ნისკარტი დაუშინა, თითქოს მის გაღებას ცდილობდა, ხიბლია კი გალიის კედლებს აქეთ-იქეთ ეხეთქებოდა, როცა ნირნამხდარი ნიბლია მიხვდა, რომ მისი მცდელობა ამაო იყო, ხიბლიას ნისკარტს რამდენჯერმე შეეხო, ამ დროს მათკენ მომავალი მომვლელი დაინახა, მოწყდა გალიას და გაფრინდა. ხიბლიას ახალი მდედრი შეუსვეს გალიაში. თუმცა მისკენ არც კი გაუხედავს, იჯდა ქანდარაზე თავისითვის მობუზული, არც ჭიკიკებდა და არც საჭმელს ჭამდა. ზოოპარკის თანამშრომლები მიხვდნენ, რომ ხიბლიას ნიბლიას გარდა არავინ სჭირდებოდა, ამიტომ მდედრი გამოიყვანეს და სხვა გალიაში შესვეს. ნიბლიამ კი კუსტის ტყეს შეაფარა თავი. რა არ ეცადა, ვისთან დამეგობრება არ სცადა, მაგრამ ქართულ ფაუნაში დაბადებულმა და გაზრდილმა ფრინველებმა იგი არ მიიღეს.

ადამიანის მზრუნველობას მიჩვეულმა დამოუკიდებლად სარჩო-სანოვაგეც კი ვერ მოიპოვა. ერთ მშვენიერ დღეს ნიბლია ხიბლიას უკან დაუბრუნდა, შიგნით შეღწევას ეცადა,



მაგრამ ნახევრად მკვდარი ხიბლია, დახურულ გალიასთან რას გახდებოდა. მის დანახვაზე თითქოს სული ჩაბერესო, ისე გამოცოცხლდა, მერე კი გალიაში დაყრილ საჭმელს ნისკარტით იღებდა და ნიბლიას პირში უდებდა. გამაძლარი ნიბლია გალიას ზემოდან შემოასკუპდა და ჭიკიკი დაიწყო. მის ჭიკიკს ხიბლიას ჭიკიკიც მოჰყვა. ადრინდელ ხიბლიას ხმაში „თავო ჩემო, ბედი არ გინერიას“ — დედააზრს უფრო ამოიკითხავდით ვიდრე სიხარულისას.

ასე გაგრძელდა ერთი კვირა, სანამ ეს ამბავი ზოოპარკის თანამშრომლებმა არ შეამჩნიეს.

ერთ მშვენიერ დღეს, მომვლელმა ლუბა დეიდამ ხელის გულზე საჭმელი დაიყარა და მთელი ერთი საათის განმავლობაში გალიასთან იყო. თითქოს ნიბლია მიუხვდაო ჩანაფიქრს, ჯერ ადგილიდან

მყისიერად აფრინდა, მერე კი მაინც ხელზე დააჯდა და საკენკას ხელის გულიდან მიირთმევდა. უნდა გენახათ ამ დროს რა ამბავში იყო ხიბლია, აშკარად ეტყობოდა, რომ უკვე სიხარული სჭარბობდა სევდას. რამდენიმე დღის შემდეგ მომვლელმა იმ დროს, როცა ნიბლიას საჭმელს ხელის გულიდან აჭმევდა, ხიბლიას გალიის კარი გაუღო, გამოფრინდა ხიბლია გალიიდან და ნიბლიას გვერდით დასკუპდა, ჯერ ფრთებით შეეხნენ ერთმანეთს, მერე ნისკარტებით. მომვლელის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. დიდება შენს ძალას,

უფალო, ეს რისი მომსწრე გამხადეო. მერე კი დაღლილმა ქალმა ორივე გალიაში შესვა. გალიის კარები ღია დატოვა, თუ გაფრინდებიან, ბარემ ერთად გაფრინდნენ. მეორე დიღას რომ მოვიდა, შეშინებული ფეხაკრებით მოდიოდა გალიისაკენ, ფიქრობდა, შიგნით აღარცერთი დამხვდებაო. მისდა გასაოცრად ხიბლია და ნიბლია გალიაში იყვნენ. მომვლელის დანახვაზე გარეთ გამოფრინდნენ და დეიდა ლუბას მხრებზე დაასხდნენ. გაოცდა, ხან ერთი ეფერებოდა ნისკარტით, ხან მეორე და თავიანთ ენაზე რაღაცას ჭიკიკებდნენ. იმ დღის შემდეგ ხიბლიას და ნიბლიას გალია არასდროს დაკეტილა.

დიდება შენს ძალას, უფალო.

# ერთა ჯაფარიძე 70 წლისაა

## ოჩახი, საესტ სიყვარულის ჰიმნი ესინერა



შოთა 3 წლის

მას შემდეგ შვიდი ათეული წელი გავიდა. სოფელ კვაშნიეთში ზაფხულის მწველი სიცხე ნაკლებად იგრძნობოდა. გრილი სიო უწმენდდა სამშობიარო ოფლს მელოგინე ქალს, შვილის მოლოდინით აღელვებული მამა ვლასი ჯაფარიძე ბოლთას სცემდა. უცებ სიჩუმე ბებია ქალის შეძახილმა დაარღვია, ბიჭია, ბიჭი... გახარებული მამა სიხარულით ცას ეწია. მელოგინე, ნინა ქოქოსაძე თავადაც ექიმი იყო. ახლა უკვე ბედნიერი დედა დაჰყურებდა ახალშობილს და უფალს შემწობას სთხოვდა, „ღმერთო, გამიზარდე ჩემი ბიჭი“, ბავშვს შოთა დაარქევეს.

ქალბატონი ნინა თბილისში გაიზარდა, წარმოშობით ზნაკვიდან იყო. ფიზიკა-მათემატიკის


სპეციალობით სწავლობდა. თუმცა ექიმობის სურვილმა სძლია და მეორედ სამუშაონალო ფაკულტეტზე ჩააბარა.

ახალგაზრდა სპეციალისტი განაწილებით რაჭაში მიავლინეს. იქ გაიცხო ვლასი ჯაფარიძე, რაიონში სახელოვანი ვაჟკაცი, ლამაზი, ახოვანი, ინტელიგენტი ადამიანი. პროფესიით პედაგოგი იყო. უშიშროებაში მუშაობდა. ერთი პერიოდი მილიციის უფროსიც გახლდათ. ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა. განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებდნენ ებრაელები.

ქალბატონმა ნინამ და ბატონმა ვლასიმ შექმნეს ლამაზი ოჯახი. დაფუძნდნენ კვაშნიერში, ზრდიდნენ ერთ ვაჟს, პატარა შოთიკოს, ნინა ექიმი



შოთა დედასთან ერთად



მთელი ხეობის ერთადერთი მხსნელი იყო. კველა პროფილი შეთავსებული ჰქონდა, ფეხდაფეხ დადიოდა პაციენტებთან. ნინა ექიმი ცხენზე ამხელრებულიც ბევრს უნახავს.

აი, ასეთი მშობლების მაგალითზე იზრდებოდა პატარა შოთა, რომელსაც ბავშვობიდან წიგნის სიყვარულს, პატიოსნებას, ერთგულებას შთაუნერგავდნენ. 6 წლის იყო როცა მამას სანადიროდ და სათევზაოდ დაჲყაყავდა. კლასში 6 მოსწავლე იყვნენ, ექსივე წარმატებულები. სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა და სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. სტუდენტობა პლეხანოვზე, იტალიერ ეზოში გაატარა. სადაც თავს იყრიდნენ ამ დროის პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები. შოთას სახლის წინ, რაჭველების სასადილო ყოფილა, სადაც შოთა ხშირად სტუმრობდა ხოლმე. ბეჯითმა და ნიჭიერმა შვილმა მშობლებს ამაგი დაუფასა, დღეს, მათი მადლიერია, ამბობს — როცა უცხოეთში მივლინებით წასვლა მიხდებოდა, ხშირად წასესხები ფულით დავდიოდი, მამამ კვაშეითში სახლიც კი გაყიდა, ოღონდაც მე საფუძვლიანი ცოდნა მიმეღოო. III კურსზე იყო, როდესაც მის მომავალ მეუღლეს, ქალბატონ ლალის შეხვდა. დაოჯახდნენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, სტუდენტები მშობლების გამოგზავნილი 500 მანეთით ბეჭდიერად გრძნობდნენ.

და აი, უკვე 50 წელი მას შემდეგ. 28 ივნისს შემდგარი ქორწილი სიყვარულის ლიბრეტოდ იქცა. ფორმულა, რომელიც ლალიმ და შოთამ 5 ათეულ წლიანი თანაცხოვრებით დაამტკიცეს, შეუდარებელი და სამაგალითოა. მსგავსი რამ არსად მინახავს და არსად მსმენია. ეს არის სიყვარულის ღალადისი, ლეგენდა, აბსოლუტური სინამდვილე. — „ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ბეჭდიერი

ქალი ვარ“, — ამბობს 50 წლის შემდეგ ქალბატონი ლალი და თვალზე სიხარულის ცრემლი უბრნყინავს — უბედნიერესი ვარ, თითქოს დღეს შეხვდით ერთმანეთს, არა და მას შემდეგ 50 წელი გავიდა. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებთ, სულ ერთად ვართ, მაინც სულ ერთმანეთს ვეძებთ, მინდა ჩვენი აღსასრულის უამს, როცა ეს დრო მოვა, იმ ქვეყნადაც ერთად წავიდეთ“.

წყვილი ახლაც შეყვარებულია, ისე, როგორც 50 წლის წინ, იქნებ მეტადაც?!

ქალბატონი ლალი ისეთივე ლამაზი და მომხიბვლელია, როგორც იყო პატარა 19 წლის გოგონა, როცა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს შოთა ჯაფარიძეს მოეწონა... ეს სიყვარულის ბალადა ჯაფარიძების ნათესავის დაბადების დღიდან დაიწყო, პატარა, ცქრიალა გოგონა ლალი, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, დაბადების დღის სტუმარი გახლდათ. აქვე ბრძანდებოდა მაღალ-მაღალი, ლამაზი, წარმოსადეგი, მოკლედ აჭრილი თმით ბატონი შოთა ჯაფარიძე — „პირველად მისი თითები დავინახე, როცა ჭიქას ხელი მოკიდა, რაღაც იდუმალი ვიგრძენი, ულამაზესი ხელი და თითები



50 წლის წინ... 28 ივნისი.

შოთას და ლალის ხელის მოწერის ცერემონიალი ჰქონდა, მაშინვე ვთქვი, რომესის იყო... — თითებით მოწონება გახდა ბატონი შოთას შეთავაზების თანხმობის საფუძველი. აქედან გაღვივდა სიყვარულის ნაპერნკალი, რომელიც 5-6 თვეში ქორწინებით დაგვირგვინდა. დღეს წყვილი შოთა და ლალი, ლალი და შოთა ახლადდა ქორწინებულ ცოლ-ქმარს ჰეგავს. ერთმანეთის მოფერებითა და თანადგომით შექმნეს და ააშენეს ულამაზესი, მყუდრო, წმინდათა წმინდა ოჯახი, ოჯახი, სადაც მხოლოდ ერთგულება და სიყვარულია. მათ თრი შვილი ჰყავთ: ირმა და ნინიკო. მოსიყვარულე მამამ შვიდი თვის პატარა ნინოს ზაფხულში, რაჭაში ყოფინის დროს თურმე ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

„შენ ჩემო ცისფერთვალება  
კალმით წახატო ფერია,

## იუბილე

ციური ანგელოზები  
სასთუმლის თავთან გვენია,  
იძინე, ტკბილად იძინე,  
გულს დარდი წუ ჩავრჩენია.  
ჩემი ცხოვრების ვარდი წარ  
თუ ციური წარ ნათელი,  
მუდა სულ თვალწინ მიღებარ,  
ჩემი ცხოვრების სანთელი,  
იძინე, ტკბილად იძინე,  
თაქს გედგას ცისა ნათელი.“

(ეს ბატონი შოთას მიერ დაწერილი პირველი  
ლექსია, რაც შვილის სიყვარულმა ათქმევინა).

ირმა მშობლებთან ერთად ცხოვრობს, ნინიკო  
კი ამერიკაშია, ჰყავს მეუღლე, ამერიკელი ჯოუბ  
ჰენინგი — პოლიგლოტი, დოქტორი და სამი შვილი  
— 11 წლის ელენ-მარი, 10 წლის ოდრი-სოფია და 5  
წლის ჯესი-საბა, სამივეს ორ-ორი სახელი ჰქვიათ,  
ბავშვებს ძალიან უყვართ საქართველო, ქართული  
ესმით, ლაპარაკი ცოტა უჭირთ, მაგრამ დედის  
წყალობით საქართველოს ხშირად სტუმრობენ და  
ყველაფერი წინ აქვთ. რაც შეეხება სიძეს, მისტერ  
ჯოუბმა მეუღლის „მოწაფეობით“ ჩინებული  
ქართული ისნავლა თურმე, საგულისხმოა აგრეთვე  
ის ფაქტიც, რომ სიძის მშობლებსაც კი საოცრად  
შეყვარებიათ საქართველო, რაჭა, ქართველები და  
ხშირად სტუმრობენ კიდეც...

ეს რაც შეეხება ნინიკოს ოჯახს, ხოლო ის, რომ  
სამი შვილის აღზრდასთან ერთად ახალგაზრდა  
ქალმა უმაღლესი დონის განათლება მიიღო, ცალკე  
თქმაა...

ნიჭიერმა, ბეჯითმა, მიზანსწრაფულმა გოგონამ,  
თანაც გამორჩეული მშობლების შვილმა, აღზრდა-

განათლების ისეთი შთამბეჭდავი გზა გაიარა,  
რომელსაც უნდა მოეყვანა კიდეც იქსფორდამდე...  
ნინიკომ 1989 წელს ოქროს მედლით დაამთავრა  
თბილისის პირველი სამუალო სკოლა, იმავე წელს  
ჩაირიცხა თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და  
ლიტერატურის ფაკულტეტზე. ნიჭი, სიბეჯითე,  
მიზანსწრაფულობა... ჰო, მაგრამ ამასთანავე  
ნინიკოს დროშიც გაუმართლა. იმხანად ხომ  
უცხოეთში აფარებული რკინის ფარდა გაიხსნა  
და გოგონამ პროექტებით, პროგრამებით,  
თხზულებებით ისე გააკვირვა საზღვარგარეთი,  
რომ მოხიბლულმა ამერიკელებმა ილინოისის  
შტატის პრესტიულ კოლეჯში მიიწვიეს ოთხწლიანი  
სწავლის მთლიანი დაფინანსებით. ასე გახდა  
ნინიკო ჯაფარიძე ბაკალავრი პოლიტოლოგიისა  
და ეკონომიკის განხრით. იმ კოლეჯს ჯორჯ  
ვაშინგტონის უნივერსიტეტი მოჰყვა, რომლის  
დამთავრებამ პოლიტოლოგიის მაგისტრობა  
მოუტანა.

ნინო სწავლის პარალელურად ახერხებდა  
სხვადასხვა სფეროში საქმიანობას: 1992 წლის  
ზაფხულში კარნეგის მშვიდობის ფონდის ინტერნია;  
1994-95-ში ეროვნული მშვიდობის ფონდის  
პროგრამების ასისტენტი; 2005-2006 წლებში — ღია  
მედიის კვლევით ინსტიტუტში კავკასიის რეგიონის  
პროგრამების დირექტორი; იმავე პერიოდში —  
გლობალური კვლევისა და სტრატეგიული ანალი-  
ზის ინსტიტუტის ევრაზიის რეგიონული კვლევის  
დირექტორი; 2001-2006-ში აშშ-ში ქართული  
სათვისტომოს პრეზიდენტი — დღემდე რჩება  
ამ გაერთიანების დირექტორთა საბჭოს წევრი;  
ასევე დღემდე გახლავთ კონსტანტინე სიდამონ-  
ერისთავის მიერ დაარსებული საქართველო-ამე-





რიკის მეგობრობის ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი. — აი ასეთი წარმატებულია ნინიკო, რომლის განათლების მისაღებად ბატონმა შოთამ და ქალბატონმა ლალიმ მაქსიმუმი გააკეთეს.

ბატონი შოთა კარგი მოთევზავე და მონადირეა. ეს მისი ჰობია: „სხვავაში, ჩემს სახლთან ახლოს, მდინარე ჩამოდის, ჩავდივარ, ბადით 10-15 კალმახს ვიჭერ და უდიდეს სიამოვნებას ვიღებ“ — ამბობს ბატონი შოთა. ასევე საოცრად მოსწონს ნადირობა. მის სახლში ერთი ოთახი სანადირო ნივთებს აქვს დათმობილი.

P.S. როდესაც ბატონ შოთას სახლში ვსტუმრობდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მუზეუმში, ან უმაღლესი დონის სასტუმროში ვიყავი... არ ვიცი რას შევადარო, ყველაფერი იმდენად დახვენილი გემოვნებით არის ნაკეთები... როგორც აღმოჩნდა ამ ყველაფრის ავტორი, ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი ლალი გახლავთ, ბატონი შოთა ამბობს, ლალი ექიმი კი არა, დიზაინერი უნდა ყოფილიყო. ეს არის ქართული ტრადიციული ოჯახი თავისი სტუმარ-მასპინძლობის წესით: „სტუმარი ძალიან გვიყვარს, ოჯახს მე ვამარაგებ, შოთა ამ ტვირთისგან გავათავისუფლე, მას თავის საქმეც ეყოფა, სამზარეულოში დედა ტრიალებს, ის 85 წლისაა, მაგრამ ძალიან ენერგიული ქალია, როდესაც სტუმრები გვყავს მაგიდა მე უნდა გავაწყო, ჩემი დიზაინით, აქამდე ყოველთვის ყველაფერს მე ვაკეთებდი, მაგრამ ახლა, როდესაც ამ ახალ სახლში გადმოვედით, სივრცე იმდენად დიდია, რომ მარტო ყველაფრის მოვლა შეუძლებელია. ამიტომ ორი ქალბატონი

მებმარება. ეზოს მე ვუვლი, ეს საქმე საოცრად მსიამოვნებს, საერთოდ, ყველაფერს ხალისით ვაკეთებ, მე და შოთას იმდენად გვიყვარს ერთმანეთი, იცით, შოთამ მე ულამაზესი სტრიქონები მომიძღვნა:

„აფეთქებული გრძნობა  
წაში აჭრილა სეუტად,  
მინდა თან ავევე, ვთხოვთ,  
რომ დიდხანს დავრჩეთ ერთად“

ყველაფერი მეხალისება, დაიჯერებთ? ჩვენ არასდროს გვიჩხუბია, — საუბარში ბატონი შოთა ჩაგვერთო, მარტო მანქანის მართვის გამო ვჩხუბობთ, ლალი საკმაოდ კარგი მძღოლია, მანქანა ადრე, 1994 წელს ვუყიდე და ჩემი ტარება არ მოსწონს (იცინის), მართალია — აგრძელებს ქალბატონი ლალი, იცით რა? ძალიან სასაცილო, მხიარული ცხოვრებით ვიცხოვრე, აი ამას ჰქვია გამართლება, ასე მგონია 47 წლის მანძილზე გვერდზე არ გაუხედავს, ჩემთვის არასდროს უდალატია, ასე მგონია, არ ვიცი, თვითდაჯერებული ვარ, ყოველ შემთხვევაში ამას თავის მოქმედებით გაგრძნობინებს, ხელის გულზე გატარებს, ძალიან ბედნიერი ვარ“, — ჩვენს საუბარს უსმენდა ქალბატონილალისდედა, ბატონი შოთას სიდედრი, „ქალბატონო ნინო, მე უბედნიერესი ქალი ვარ, მათი სიყვარულის გამო. შოთა ჩემს ხელში გაიზარდა, 19 წლის იყო ჩემთან რომ მოვიდა, მას შემდეგ სულ ერთად ვართ, ამბობს ჩემს სიდედრს არ მოვწონდიო, — როგორ არ მომწონდა, დასაწუნი რა ჰქონდა? მარტო თმა დავუწუნე, ძალიან მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, შოთა ჩემი მესამე შვილია, დილით ადრიანად ვდგები, საუზმეს ვუმზადებ, მე ვისტუმრებ სამსახურში, არაჩვეულებრივი ადამიანია, ის დღეს ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას“.

— დიახ, ბატონი შოთა ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ბატონი შოთასნაირი ოჯახები გადაარჩენს ჩვენს ერს, რამეთუ მათი ცხოვრება არის ბალადა სიყვარულისა, ბალადა ერთგულებისა, ბალადა ადამიანობისა და კეთილშობილებისა.

ცელს შოთა ჯაფარიძე 70 წლის გახდა. ცულოცავთ სახელგათოებულ დასტაკარს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ კალავ დიდხანს ეღვანოს ჩვენი ქვეყნის და ერის საკათილდღეოდ.

ნინო რევოლუციი

# რა უნიკალური თვისებებით გამოიჩინა ერთობის თაფლი, რამდენად მომგებიანია თაფლის განვითარებისათვის და რამდენად გამოიიყოს მასარის განვითარებისათვის?



რა უნიკალური თვისებებით გამოიჩინა ერთობის თაფლი, რამდენად მომგებიანია თაფლის განვითარებისათვის და რამდენად გამოიიყოს მასარის განვითარებისათვის?

"საქართველოს პროფესიონალ მაცუტკრატა ასოციაციის" პრეზიდენტს, მაცუტკრატის განვითარებისათვის ესაუბრა.

- ერთობის თაფლის უნიკალურ თვისებად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ გარდა საკვები და სამკურნალო დანიშნულებისა, საქართველოში გვარდს 7 ზონა, ამ ზონებში აღიარებით თაფლი ერთმანეთისგან გვარდს განსხვავდება ფარითა და გემოთი. თუ შენაცვისა და ტრანსპორტის განვითარების დროს თაფლი არ ფუზდება, ყველას ერთნაირი თვისებები არ არის, მაგრამ გამოიიყოს და ფარით განსხვავდება.

- რა პერიოდში იღებთ თაფლი?

- თაფლის აღება ანუ თაფლის დალა დასავლეთ საქართველოში და ველის ზონაში, ისევე როგორც კახეთის ზონაში, მასის პირველ რიცხვებში იწყება და გრძელდება მაღალმოთიან ზონაში, სადაც ივლის-აგვისტოშიც მოდის თაფლი.

- რა ხარჯებს მოითხოვს ეს საქმიანობა? რა ლირს ფუტკრის ოჯახის შეძენა?

- თუ სკაში ჩასახლებული ფუტკარის, ანუ ფუტკრის ოჯახის შეძენა გინდათ, ამჟამად, ყველაზე უფრო მცირე ფუტკრის ოჯახის ღირებულება დაახლოებით 250-300 ლარამდე მერყეობს და ისიც იმის გამო, რომ ზამთარია და ფასი დაბალია. გაზაფხულზე იგივე ოჯახები შეიძლება 300-350 ლარი ღირდეს. ხოლო თავის სკანად, ყველაზე უფრო ნაკლები ერთი ფუტკრის ოჯახის ფასი დაახლოებით, 350 ლარია.

- დახლოებით რამდენი ფუტკარია ერთ სკაში ანუ ერთ ოჯახში?

- წელიწადის სხვადასხვა დროს რაოდენობა სხვადასხვა, მაგრამ ფუტკრის სტანდარტულ ოჯახში მათი რაოდენობა 20-25 ათასიდან 50-60 ათასამდე იცვლება. ფუტკრის ოჯახში ფუტკრები მუდმივად იცვლებიან. ყველაზე უფრო სწრაფად ზაფხულის პერიოდში იცვლება, - ამ დროს ფუტკარი მაქსიმუმ 40 დღე ცოცხლობს, ზამთარში კი 150 დღემდე. ძალიან იშვიათად შეიძლება, 200 დღემდე იცოცხლოს. ფუტკრის ოჯახში ყველაზე დიდხანს დედა ფუტკარი ცოცხლობს, ძირითადად 3-5 წელი.

- რამდენად პროდუქტიულია ერთი ფუტკრის ოჯახი, თაფლის ყველა ფუტკარი იძლევა?

- ფუტკრის ოჯახების პროდუქტიულობა დამოკიდებულია ამინდზე, მერე თვითონ მეფუტკრის კვალიფიკაციაზე, ამის შემდეგ იმ ადგილზე, თუ სად არის განთავსებული სკა.

- იცვლება თუ არა თაფლის ფასი, რაზეა ფასი დამოკიდებული?

- ფასი შედარებით ნაკლებად იცვლება, რადგან საქართველო გაჯერებულია ამ პროდუქციით. მიუხედავად იმისა, რომ წელს ცუდი მოსავალი იყო, თაფლის ფასი შარშანდელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა, იმ დროს, როდესაც სხვა სამრეწველო საქონელზე ფასები გაცილებით მეტად გაიზარდა. ამჟამად ყველაზე დაბალი, საცალო ფასი 10-12 ლარია, საშუალო ფასი 15-18 ლარის ფარგლებში მერყეობს, მაქსიმალური ფასი კი 25 ლარია, წელს განსაკუთრებით მოთხოვნა წაბლის თაფლზე იყო.

მერყეობს, მაქსიმალური ფასი კი 25 ლარია, წელს განსაკუთრებით მოთხოვნა წაბლის თაფლზე იყო.

- წაბლის თაფლი ახსენეთ, რომელიც ყველაზე ძვირია, რატომ? რითია განსაკუთრებული?

- წაბლის თაფლს აქვთ თავისებური სუნი, ოდნავ მომნაროა, მისი ფალსიციცირება საკმაოდ ძნელია და ამის გამოა, რომ ხშირად ექიმბაშები წაბლის თაფლს იყენებენ. ამას გარდა, თურქეთში მუქი ფერის თაფლზე დიდი მოთხოვნაა, წაბლის თაფლის უმეტესად თურქეთში გადის.

- ქართული თაფლი რომელ ქვეყნებში გადის?

- ძირითადად ჩვენს მეზობელ ქვეყნებში - აზერბაიჯანში და თურქეთში, მაგრამ ორივე ქვეყანაში გატანა კონტრაბანდულ სახეს ატარებს. ევროპაში ჩვენი თაფლი უკეთეს შემთხვევაში, 5-10 წელი ვერ გავა იმიტომ, რომ ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი. პირველ რიგში, ტრენის სასიათის პრობლემებია. ევროპაში სურსათზე მოთხოვნა ძალიან გამკაცრებულია, ამას გარდა, ევროპა დაინტერესებულია თავისი მეცხოველობის პროდუქტების გასაღებით და მეცხოველობის პროდუქციაში ამჟამად თაფლიც შედის. როგორც იტყვიან, ევროპა თავის ბაზარს კბილებით იცავს.

თემა პერიოდი 2020

გია ბარიშვილი  
დავით ჯავარიძე



ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი თავის ისტორიას 1948 წლის ივნისიდან მოითვლის. მუზეუმის პირველი დირექტორის ბატონი ვლასი გრძელიშვილის თაოსნობით მთელს რაჭაში ფართოდ გაიშალა შემგროვებლობითი და საკულტურაძიებო საქმიანობა ექსპონატების შექნის მიზნით. ოთხწლიანი თავდაცუზოგავი მუშაობის შემდგომ 1952 წლის 12 ოქტომბერს მუზეუმი ახალი ექსპოზიციებით საზემო ვითარებაში გაიხსნა. სიძველეთსაცავის გახსნაზე თავი მოიყარა რაჭის მოსახლეობამ, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებაში დღი წლილი მიუძღვით: საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ხატიაშვილს, საქართველოს სახალხო მხატვარს აკადემიკოსს უჩა ჯაფარიძეს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ეთნოგრაფ ნიკოლოზ რეხვიაშვილს, რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილს, გეოლოგებს აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძეს, მირიან ძველაიას, თეატრმცოდნე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს დიმიტრი ჯანელიძეს, ფილოლოგი ირა ჭიჭიაძეს. ადგილობრივ ხელისუფლებას, ინტელიგენციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სიძველეთა მოყვარულებს.

თავდაპირველად მუზეუმი განთავსებული იყო ონის კულტურის სახლის შენობაში. 1974 წელს დაეთმო ორსართულიანი შენობა, რომელიც მოძველებულ ნაგებობას წარმოადგენდა, 1991 წელს რაჭაში მომხდარმა მინისტრამ ნაგებობა ნაწილობრივ დაანგრია

და მნიშვნელოვნად დააზიანა, იმავე წელს გადაწყდა, რომ მუზეუმისათვის ახალი ნაგებობა აგებულიყო, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებდა თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნილებებს. მშენებლობა მართლაც დაიწყო, თუმცა ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ დაწყებული მშენებლობა შეაჩერა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით მოხდა ძველი დანგრეული შენობის რეკოსტრუქცია-რესტავრაცია. მიუხედავად ამისა, დღესაც ვერ ხერხდება თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნილების დარბაზებისა და ექსპოზიციების მოწყობა.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი წარმოადგენს რაჭის, ონისა და ამბროლაურის რაიონების სიძველეთსაცავს, სადაც დაცულია 14000 (თოთხმეტიათასი) ძირითადი და დამხმარეექსპონატი.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია არქეოლოგიური ექსპონატები, რომელთა ერთი ნაწილი სტაციონალურ ექსპოზიციაშია გამოფენილი, ნაწილი კი ფონდსაცავშია განთავსებული.

რაჭაში გამოვლენილია ქვის ხანის ადამიანის სადგომები, მუზეუმში დაცულია მეზოლითის ხანის (X-VIII ათასწლეული) ქვის ხელცული სოფ. ღარიდან, მეზოლითის ხანის კაჟის შუბის პირი სოფ. ირიდან, ნეოლითის ხანის (7-4 ათასწლეული) ქვის ცული სოფ. საკაოდან. ბრინჯაოს ხანის მარცვლეული კულტურის ხელსაფეხვი ქვები ონის შემოგარენიდან და სოფ. წმენდაურიდან.

სოფ. ღების მახლობლადგონაში, ბრილში აღმოჩნდა ათეულობით ბრინჯაოს მძლავრი მეტალურგიული კერები. II ათასწლეულის შუა წლებიდან მაღაროებში



## მუზეუმი ონში

ხდებოდა სპილენძის მოპოვება და დამუშავება. მუზეუმში დაცულია მადნის სასრესი ქვები და ქვის სანაყი როდინები.

სამთამადნო მეტალურგიულ კერებში დამზადებული სპილენძის ზოდები და მაღალმხატვრული ხელობის ბრინჯაოს ნაკეთობანი, რომელიც გაედინებოდა წინა აზიაში დაევროპულ ქვეყნებში. რაჭის მთიანეთში დაწურული ბრინჯაო განსხვავდებოდა კლასიკური კალისა და სპილენძის შენადნობისაგან მიღებული ბრინჯაოსაგან. რადგან კალა საქართველოში ნაკლებად მოიპოვებოდა ჩვენმა წინაპრებმა კალა ანთიმონიტითა და დარიშხანით ჩაანაცვლეს. ანთიმონიტიანი და დარიშხანიანი ბრინჯაოს ნაწარმი პლასტიკურობით, სიმტკიცითა და სხვა მაჩვენებლებით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა კლასიკური ბრინჯაოს ნაკეთობებს.

სწორედ ამან განაპირობა, რომ გერმანიის ქალაქ ბოხუმის სამთო მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერები დაინტერესდნენ რაჭის სამთამადნო წარმოებითა და არქეოლოგიური ძეგლებით. ქ. ბოხუმში მოეწყო გამოფენა — „განდი ოქროს საწმისის ქვეყნიდან“, სადაც ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ათეულობით ექსპონატი იყო წარმოდგენილი. გამოფენას ჰქონდა მეტად დიდი რეზონანსი, გამოიცა კატალოგი.

მუზეუმში დაცულია „ბრილის“ ბრინჯაოს, ადრე რკინის, ანტიკური ხანის მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალები, რომელთა დიდი ნაწილი სიძველეთსაცავს არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა გადმოსცა. მათ შორისა: ॥ათასწლეულის შუა წლებით დათარიღებული კაუსის შუბის პირები, ბრინჯაოს მასრა გახსნილი შუბის პირები (ძვ. წ. XII-XI სს), ვერძის სკულპტურული გამოსახულებები (ძვ. წ. ა. 8-7 ს.ს.), თმის სპირალური ხვიები (ძვ. წ. 8-7 ს.ს.), მშვილდაკინძები (ფიბულები), საკინძი, საყურეები, სამაჯურები, სასაფეთქლე რგოლები, ზანზალაკები (1 ათასწლეული), რკინის ცულები (ძვ. წ. აღ. VII-V ს.ს.), ბრინჯაოს იარაღის სალესი ქვა, კერამიკული ჭურჭელი (ძვ. წ. აღ. 8-7 ს.ს.), ოქროს სასაფეთქლე რგოლი (ძვ. წ. აღ. III ს.ს.).

ბრილში მოსახლე კოლხურ ტომებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ ეგვიპტურ, შუამდინარულ, ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციებთან. ბრილის სამაროვნებში მრავლად გვხვდება უცხოეთიდან იმპორტირებული ანტიკური

ხანის მინისა და პასტის ხელოვნური მძივები, რომელთა დიდი ნაწილი წარმოდგენილია მუზეუმის საგამოფენი სივრცეში.

მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციის შეესებისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაჭის ტერიტორიაზე სრულიად შემთხვევით გამოვლენილ არქეოლოგიურ განძებს, რომელთა დიდმა ნაწილმა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიდო ბინა.

1939 წელს სოფ. ქვიშარში მდინარე ობინელას ნაპირზე ნახეს ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განდი. განდი მეცნიერულად შეისწავლა ქართული არქეოლოგიის ფუძემდებელმა გიორგი ნიორაძემ. 12 ერთეული კოლხური ტიპის ცული (ძვ. წ. 16-13 ს.ს.) ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადმოეცა.

1953 წელს სოფ. თხმორში შემთხვევით აღმოჩნდა სპილენძ-ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განდი (ძვ. წ. ა. 11-9 ს.ს.). არქეოლოგიური ნიმუშები მოთავსებული იყო თოხის მოზრდილ ჭურჭელში (ხალამში, დერგში). განდი 5 ათეულზე მეტი ექსპონატისაგან შედგება. მათ შორისა: თოხები, სეგმენტისებური იარალი, საკულტო დანიშნულების სატევრის პირის მიმბაძველები სხვადასხვა ტიპისა, მადნის გამონამუშევრები და კელტი.

თხმორის განდი 1963 წელს მონოგრაფიულად შეისწავლა არქეოლოგმა ოთარ ლამბაშიძემ. არქეოლოგიური ნიმუშების მეცნიერულად შესწავლის შემდგომ ექსპონატები ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადმოეცა.

მუზეუმში დაცულია 1940 წელს ტოლაში აღმოჩენილი განდის (ძვ. წ. ა. 10-8 ს.ს.) ნაწილი, რომელიც შედგება თოხის, ლაგამისა და სპილენძის ზოდისაგან.

მუზეუმისაგამოფენისივრცეში ექსპონირებულია ბრინჯაოს კოლხური ცულები (ძვ. წ. 8-7 ს.ს.) სოფ. საკაოდან, სორიდან, სხვავიდან და უჩა ჯაფარიძის ოჯახიდან გრავირებული უნიკალური ცული. ბრინჯაოს აბზინდები (ძვ. წ. 8-6 ს.ს.) სოფ. სხიერიდან, კვაშეითიდან და ნაკიეთიდან ძალზედ საინტერესოა ბრინჯაოს ხარირემის სკულპტურული გამოსახულება (ძვ. წ. 6-4 ს.ს.) სოფ. მაჟიეთიდან, რომელსაც საკულტო დანიშნულება ჰქონდა. აქვე წარმოდგენილია ანტიკური ხანის სოფ. ლარში შემთხვევით ნაპოვნი კოსმეტიკური დანიშნულების ბილონის ყანჩა, მხატვრულად გაფორმებული ვერცხლის თასი სოფ. კვაშეითიდან. აღსანიშნავია ძვ. წ. V საუკუნის ლაგმები სოფ. წედისიდან.



## მუზეუმი ონბი

ონის მხარეთმცოდნების მუზეუმის მშვენებას წარმოადგენს 1-3 სს. ბრინჯაოს ჭვირულგამოსახულებიანი ბალთების კოლექცია სულ 15 ერთეული, რომელთა დიდი ნაწილი სრულიად შემთხვევითაა აღმოჩენილი მოსახლეობის მიერ რაჭის სხვადასხვა სოფლებში.

ხუთი ბალთა კი ბრილში და ნაკიეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული. ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები დიდი ხანია იქცევდნენ მეცნიერთა ყურადღებას. ნაწილი მკვლევარებისა თვლიდა, რომ ამ ტიპის ბალთების წარმომავლობა ქართული არ უნდა ყოფილყო. 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბალთების წარმოშობის რაიონებად მიჩნეული უნდა იქნეს რაჭა და ყვირილას ხეობა. ამ მხრივ ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაჭის არქეოლოგიურ ექსპედიციას. ბრილისა შოშეთის ნეკროპოლებზე აღმოჩენილი სამარხები უაღრესად საყურადღებო მასალას იძლეოდნენ ბალთების სადაურობის საკითხის დასაფეხნად. არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა, რაჭაში აღმოჩენილ ბალთებს სპეციალური ნაშრომი უძლვნა, ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბალთების სამშობლო საქართველოა და ამიერიდან მათ უნდა ეწოდოს ბრინჯაოს ქართული ბალთები.

მუზეუმში დაცული ბალთები მაღალ მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორი განსხვავებული ტიპის ნიმუში: ოთხი ხარისა და ასტრალური (მზის დისკოს გამოსახულებიანი) ბალთები, უკანასკნელს ანალოგი არ მოჰპოვება და უნიკალურადაა მიჩნეული.

როგორც ხელოვნებათმცოდნე მანანა ხიდაშელი აღნიშნავს — „მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე შეუდარებლად სრული და დახვენილია. სწრაფვა ფორმის სრულყოფისაკენ, რომელიც ადრეული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებშიც შეიმჩნევა, ანტიკურ ხანაში ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებში პოულობს თავის შესანიშნავ გადაჭრას. ბრინჯაოს ბალთებს ახასიათებთ დიდი კულტურა, ღრმა ტრადიცია, შესანიშნავი მხატვრული სტილი, მათი მაღალი მხატვრული ოსტატობა გვარნმუნებს იმაში, რომ საქართველოში ორნამენტულ ხელოვნებას, რომელიც ამ ბალთებში უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი, განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია.“

საგულისხმოა, რომ არქეოლოგიური მასალების დიდი ნაწილი, რომელიც ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული სრულიად შემთხვევითაა მოპოვებული, რაც საფუძველს იძლევა სამომავლოდ რაჭაში არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის.

კომუნისტური ხელისუფლების დამყარებას თან მოჰყვა რაჭის ეკლესია-მონასტრების მასიურად ნგრევა, ნაწილი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგ-


ლები მოუვლელობითა და უყურადღებობით განადგურდა, ყოველივეს კი თან დაერთო 1991 წელს რაჭაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრა.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებისთანავე დაისახა ამოცანა მომხდარიყო ეკლესია-მონასტრების რელიეფების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების გადარჩენა. დღესდღეობით მუზეუმში დაცულია სხვადასხვა ეკლესის 5 ათეულზე მეტი რელიეფური და ლაპიდარულ წარწერებიანი ქვები.

მუზეუმში მოპრძანებულ დამთვალიერებელს შეუძლიათ იხილონ სოფ. ჯოისუბნის წმ. გიორგის ეკლესის აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის რელიეფური შემკულობა. ხელოვნების ნიმუში შესულია იუნესკოს მიერ გამოცემულ კატალოგში და განთავსებულია მათ ვებგვერდზე. რელიეფი 7 ქვისაგან შედგება.

ხელოვნებათმცოდნე ნათელა ალადაშვილი აღნიშნავს, რომ ჯიოსუბნის რელიეფი განკითხვის დღის სცენის ყველაზე ადრეული გამოსახულებაა ქართულ ხელოვნებაში და ერთ-ერთი ადრეულია აღმოსავლეთ ქრისტიანულ ხელოვნებაში. ფიგურული რელიეფები X საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. სარკმლის ნახევარწრიულ ფორმის ქვაზე წარმოდგენილია სასამართლო: ცენტრში საყდარზე მჯდომი მაცხოვარი მაკურთხებელი მარჯვენით და გრაგილით მეორე ხელში, ხოლო მის გვერდით პირველმოციქულები პეტრე, რომელსაც გასაღები და გრაგილი უჭირავს და პავლე წიგნით ხელში. რელიეფის შინაარსი ასომთავრული წარწერით განსაზღვრულია როგორც განკითხვა. ქვემოთ ორივე მხარეს ფილებზე განკითხვის ცალკეული ეპიზოდებია გამოსახული, მარცხენა რელიეფზე ანგელოზია გამოსახული, რომელიც საყვირს უკრავს, რათა მიცვალებული აღდგნენ განკითხვის დღისათვის. საყვირის ხმა უფლის გამოცხადებას მოასწავებს. მესაყვირე მთავარანგელოზის გვერდით წარმოდგენილია გაბრიელ მამასახლისი ეკლესის მოდელით ხელში, რომელიც შენყალებას ითხოვს განკითხვის უამს. პარალელურად მდებარე რელიეფზე გამოსახულია ანგელოზი პინებიანი სასწროით, რომელზეც მან ადამიანთა კეთილი საქმეები და ცოდვები უნდა აწონოს მის გვერდით პატარა შიშველი ფიგურებია, ზედა რიგის მართალთა ფიგურებს შარავანდედი მოსავთ. ქვედა რიგში შარავანდედის გარეშე ცოდვილებია გამოსახული. ქვემოთ ლენტის წნულით შექმნილი სხვადასხვა ფორმის როზეტებია. ბოლოს კი ერთმანეთის პირისპირ გამოსახულია წმიდა მხედრები: წმიდა გიორგი, რომელიც კლავს იმპერატორ დიოკლეტიანეს და წმიდა თევდორე, რომელიც გმირავს გველეშას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# საქართველოს პატრიარქის, უცხოდესისა და უცხადესის სტუმრობა ლებეძი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ მე და ბატონ გურამ ქარქაშაძეს საინტერესო წინადადება შემოგვთავაზა, ჩავრთულიყვაით კომისიაში, რომელიც ამზადებდა აკაკი წერეთლის მოგზაურობის იმიტაციას რაჭა - ლებეძუმში, გოგის გარდა ამ კომისიაში ცნობილი მწერალი, ოტია იოსელიანი და კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე მონაწილეობდნენ. ასეთ წინადადებაზე უარის თქმა, ალბათ, უგუნურობა იქნებოდა და ჩვენც მთელი ენთუზიაზმით ჩავებით კომისიის მუშაობაში. არ იყო იოლი ასეთი მასშტაბური ლონისძიების ორგანიზაცია, ამის გამო მე და ბატონ გოგი დოლიძეს არაერთგზის მოგვიწია, რომ წინასწარ გვემოგზაურა სულმათი აკაკის ნაკვალევზე, რათა ყველა დეტალი დაგვეზუსტებინა, გვინევდა შეხვედრა რაიონების ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლებთან, რიგით ადამიანებთან, სკოლის დირექტორებთან, ეკლესიის მსახურებთან და ა.შ. ჩემთვის რაჭა-ლებეძუმში ასეთი მოგზაურობა საინტერესოც იყო და მონაცერებულიც, უამრავი ნაცნობი ვნახე, ბევრიც გავიცანი. მაცცებდა გოგი დოლიძის ენერგია და მონდომება, რომ ეს ლონისძიება ლირსეულად ჩატარებულიყო. მეგონა, ვიყავი იორგანიზებული და დიდი პასუხისმგებლობის მატარებელი, მაგრამ გოგი რომ ვნახე, ჩემზე საუბარს საერთოდ ვანებებ თავს. იმ დროს, როდესაც ამ ღონისძიებას ხელისუფლება ძალიან სერიოზულად არ განიხილავდა, კომისიის წევრთა ავტორიტეტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ყოველ მათგანს გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ,

ამიტომ ამ ღონისძიებაში უამრავი ადამიანი ჩაერთო. ვინ ცხენები მოყვანა ფაიტონებში შებმული, თეატრებმა სპეციალურ ტანსაცმელში გამოაწყვეს ადამიანები, არ გვყავდა აკაკი, მაგრამ იყო გოგი დოლიძე, რომელიც მშვენივრად განასახიერებდა სახალხო პოეტს. ზემის მონაწილეებმა ყველა ის



ადგილი გაიარეს, რაც თავის დროზე აკაკიმ.

ავალნიერ ამბროლაურის რაიონში, ჩვენს კოპორტას შემოუერთდა საქართველოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია II, რომელიც იმ დროს სვანეთში მოგზაურობიდან ბრუნდებოდა. იქ გავიგე, რომ უწმინდესი ჩემს სოფელში, ღებში, აპირებდა ასვლას, მე დელეგაციას გავეთიშე დროებით და ღებში წავედი, რათა სოფელს ლირსეული შეხვედრა მოეწყო უდიდესი და უწმინდესი ადამიანისათვის, ეს შეხვედრა, რა თქმა უნდა, უჩემოდაც შედგებოდა, მაგრამ არ შემეძლო ასეთ ღონისძიებას არ დავსწრებოდი

## პატრიარქი ლებეძი

და ჩემი წვლილიც არ შემეტანა. უნმინდესს სურდა, სოფ. ლებეძი მშენებარე ეკლესია ენახა, რომელიც ხორციელდებოდა სოფლის მცხოვრებთა „ერთნებაობით“, რომელთაც ხელმძღვანელობდა ჩემი ახლობელი, იაგო გოგრიჭიანი. უნმინდესი კმაყოფილი დარჩა მშენებარე ტაძრის ხილვით და აღნიშნა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი გრანდიოზული იქნებოდაო, სოფელი და მისი მაცხოვრებლები კი ბედნიერნი იყვნენ პატრიარქის სტუმრობით.

მე წილად მხვდა ბედნიერება, სიტყვით მიმემართა უნმინდესის, მისი თანმხლები ერისკაცებისა და საეკლესიო მოღვაწეებისათვის. პატრიარქი ჩემი სიტყვით იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ მთხოვა, ბატონო გივი, გვინდა ტრაპეზის ხელმძღვანელი თქვენ იყოთო. რა თქმა უნდა, ამ მისიამ ძალიან გამახარა და ამავე დროს საფიქრალიც გამიჩინა, ასეთი სუფრის თამადა არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ უფლისა და უნმინდესის ლოცვა-კურთხევით პრობლემას თავი გავართვი. ტრაპეზის მსვლელობისას გამახსენდა, რომ ავტომანქანაში უნმინდესის ასაყდრების დროის ფოტოსურათი მქონდა, რომელიც მე თვითონ გადავიღე მონამეთაში, გაგი მოსეშვილის ნებართვით, კედელზე დაკიდებული სურათიდან. ეს ფოტო გადავეცი ჭუკი გავაშელს, რომელსაც „ოქროს ხელები“ აქვს და ვთხოვე, რაც შეიძლება მოკლე დროში ხის ჩარჩოში ჩაესვა და სურაზე მოეტანა. არ ვიცი, როგორ მოასწრო. დაახლოებით 15-20 წუთში ჩარჩოში ჩასმული სურთი მომიტანა, ფოტოზე უნმინდესი ახალგაზრდაა და არაჩვეულებრივად გამოიყურება. ამ სურათს სასოებით ვინახავ დღემდე. უნმინდესს მთაში ამ სურათის ხილვა ძალიან გაუხარდა, მან უკვე იცოდა ჩემს შესახებ, თუ ვინ ვიყავი და ჩვეული იუმორით მკითხა „შვილო გივი, ალბათ ეს სურათი თავის დროზე დავალებით გადაიღეთ“, ყველამ გაიცინა, მე კი უჟთხარი, კი, უნმინდესო, ეს სურათი გულის დავალებით გადავიღე და ისევე ვუფრთხილდები მას, როგორც ბაბუაჩემი ილიას მოგონებასთქო, უნმინდესმა იკითხა ვინ იყო ბაბუაო, მე ავტესენი, რომ უპირველეს ყოვლისა, იყო დიდი მორნმუნე, ივანე გომართელის მეგობარი და თემში დაფასებული კაცი. მან კი კურთხევა მომცა ბაბუაჩემის სახით ღირსეული ღებელების ხსოვნის სადღეგრძელო შემესვა, მათ შორის, ხევის ბერის, ბერო გავაშელის, პროფესორების: გერმანე გობეჯიშვილის, შალვა და გელა ლობუანიძეების, სულთან გავაშელის და სხვათა სახით. ტრაპეზობის დროს უნმინდესს ჩემირამდენიმე წიგნი ვაჩუქე, მათ შორის „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის



ისტორია“. რომ ნახა, მითხვა, არ შეიძლება, რომ ეს წიგნი ინგლისურადაც ითარგმნოსო? და ამ საქმეში დახმარება აღმითქვა. მე შევპირდი. უნმინდესის ეს დავალება შევუსრულე და მის ბიბლიოთეკაში ინგლისურმა და რუსულმა თარგმანებმაც დაიდო ბინა, შემდგომში უნმინდესის ლოცვა-კურთხევით უურნალი „ცხოვრება და კანონიც“ დავაფუძნე, რომელიც დღესაც გამოდის.

სუფრის მსვლელობის დროს კიდევ ერთი საკითხი შევათანხმე პატრიარქს, მაშინ ხოფითოს ჩემი აშენებული ბაზილიკა ნაკურთხი არ იყო, ვთხოვე პატრიარქს, ამის ნებართვაც გაეცა, იგი მიუბრუნდა რაჭა-ლეჩებულის ეპისკოპოსს, სულმნათ მეუფე ელისეს და სთხოვა, როცა გეტყვით, მისი აშენებული ბაზილიკა აკურთხეთო, რაც შემდგომში შეასრულა მამა დანიელმა (ზურაბ ლობუანიძე) და „ჯვრის“ სალოცავის სახელით აკურთხა.

დავუბრუნდები ტრაპეზს, დაცვის ხალხმა გვაუწყა, რომ ამინდი ფუჭდება და თუ არ ავჩეარდებით, შესაძლებელია, ვერტმფრენები ვერ ავიდნენ ჰაერში და გამგზავრების პრობლემა შეიქმნებაო. უნმინდესმა ცას ახედა და ჩაილაპარაკა, ამინდი ჯერ არ გაფუჭდებაო, ამით შეთამამებულმა რამდენიმე სადღეგრძელო კიდევ შევსვით და ვერტმფრენამდე უნმინდესი და მისი თანმხლები პირები გავაცილეთ. მათი გამგზავრების შემდეგ ამინდიმართლაცგაფუჭდადაწვიმანამოვიდა. ხალხს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და უფლის წყალობად და უნმინდესის დამსახურებად ჩათვალეს. ღებები ეკლესია დამთავრდა და ფუნქციონირებაც დაიწყო, ღებელები კი არ ივიწყებენ იმ მნიშვნელოვან დღეს, უფალს ევედრებიან უნმინდესის და უნეტარესის ჯანმრთელობას და დიდი ხნით სიცოცხლეს.

ის დღე ჩემს ცხოვრებაში განუმეორებელ მოგონებად რჩება.

გივი ლოპაზანიძე  
სრული პროფესორი



*ცენტრალური ხელფინანსობრივ სტრუქტურების დაწესების  
ცენტრალური ხელფინანსობრივ სტრუქტურების დაწესების*

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტმა მაია კვეზერელმა-კოპაძემ თანამშრომლებთან ერთად შეხვედრა გამართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან მალხაზ ლომთაძესთან და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვიდ პირს საჩუქრად ეტლები გადასცა.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ინიციატივით და მოსახლეობის მოთხოვნით რეაბილიტაცია ჩაუტარდა სადმელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ღვიარაში ორ ხიდს.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნამანევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თხმორში რეაბილიტაცია გაუკეთდა ე.ნ. „თეთრლელეზე“ გადასასვლელს, ხოლო ე.ნ. „შავლელეზე“ გადასასვლელი კაპიტალური ხიდის მშენებლობა ამ წელს მიმდინარეობს.



## რეგიონის ხმა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ინიციატივით რეაბილიტაცია ჩაუტარდა ნიკორწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე ე.წ. „კანდელაკების წყაროს”



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ლომთაძე 1 ივნისიდან 5 ივნისამდე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლიტვის



რესპუბლიკაში, კერძოდ ლაზდაიას მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო „სასაზღვრო ფიესტაში”.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჭელიაღელის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ უყეშს არსებობის მანძილზე წყლის პრობლემა ჰქონდა. გეოლოგების მიერ წყლის დაძიებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით დაიწყო სოფელ უყეშისათვის ჭაბურლილით კომპანია „ჰიდრო და საინჟინრო გეოლოგია 2011”-ის მიერ წყლის მოძებნის სამუშაოები. კომპანიამ

მუშაობა 2016 წლის 5 მაისიდან დაიწყო და დღეს 26 დღიანი მუშაობის შემდეგ 108 მეტრ მიწის სიღრეზე წყალი მოძებნილია დიდი რესურსით. აღნიშნული სამუშაოები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ფარნაოზ ბაკურაძემ, გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ალეკო ქურციკიძემ და გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლავრენტი მუსელიანმა დაათვალიერეს.



# ინიციატივის მომღერლების

## ქადაგის მომღერლების



სიცოცხლე ხვთის ერთ-ერთი სასწაულია. უფალი ადამიანს გარკვეულ მისიას აკისრებს და არავის ჰპატიობს გზიდან გადახვევას... ნათესავნი მორვალს და ნათესავნი წარვალს, მზე აღმოხდებისა და მზე დახდების, რაის ცუდად ვმაღლივობთ, ოდეს ყველანი მოკვდავნი ვართ და მინად მიქცევადნი". სიცოცხლის არსი ის კი არ არის, რა ნუზლს მოიპოვებ, არამედ რა კვალს დატოვებ ირგვლივ მყოფთა ხსოვნაში, როგორ მოგიხსენიებენ არყოფნის შემთხვევაში, რადგან ყველაფერი წარმავალი და ფუჭია სახელის გარდა.

ქალბატონი ირინა გოცირიძის გარდაცვალებამ ძალიან დაგვწყვიტა გული. ის, დიდებული ოჯახის ლირსეული შვილი, ოჯახის ტრადიციების გამგრძელებელი იყო. მას, საქვეყნოდ ცნობილი ვიქტორ გოცირიძის, მოსკოვისა და თბილისის მეტროთა მშენებლის ქალიშვილს, უფლება არც


ჰქონდა სხვანაირი ყოფილიყო. დიდი პიროვნების შვილობა პატივთან ერთად დიდი ვალდებულებაა და მძიმე ტვირთი. მან მსუბუქად ატარა ეს ტვირთი. ის ხოტევისა და ველევის სკოლების მზრუნველი და ჭირისუფალი იყო. 1991 წლის აპრილის მინისძვრამ რომ ველევის სკოლა დაანგრია, მხარში ამოგვიდგა. გამოიყენა მამის ავტორიტეტი და გარკვეული დახმარება გაგვიწია სკოლის შენობის აღდგენის საქმეში. სკოლას დედის, ქალბატონ დარიკო ანტონის ასულ ჩიხრაძის, დამსახურებული პედაგოგის, სახელის პატივსაცემად დედის ნაქონი წიგნები გადმოსცა, ცალკე კარადაში განვათავსეთ და გვაქვს ქალბატონ დარიკო ანტონის ასული ჩიხრაძის სახელობის წიგნადი ფონდი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო იმ საშინელ წლებში ქალბატონ ირინას თანადგომა. თვითონ პენსიონერი როგორც ველევის სკოლას ისე ხოტევისას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უგზავნიდა სასწავლო და საკანცელარიო ნივთებს, სახელმძღვანელოებს და იმ გაუსაძლის წლებში გვიადვილებდა არსებობას. ბოლოს გასულ წელს ახალი წლის მილოცვისას მკითხა, რა გჭირდებათო. მე ვუთხარი, თქვენი ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა-მეთქი. მაგრამ ეს ჩვენი ბოლო საუბარი ყოფილა... ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს. მისი ნათელი კვალი ველევის სკოლასა და მისგან დახმარებაგანეულთა გულებში არ წაიშლება. ვფიქრობ, ესაა სიცოცხლე.

**ეკატერინე ჭიშინაძე,**  
ველევის საჯარო სკოლის დირექტორი

# გილოვანი!

შოთა  
ვაქერიძე



აკადემიუმის, საქართველოს თეატრინთლარინგოლოგის ასთციაციის  
ვიცე პრეზიდენტი, ამერიკის თეატრინთლარინგოლოგის  
და თავისა და კისრის ქადაგის აკადემიის საერთაშორისო  
წევრი, უკრაინის თეატლოგთა და თეატრინთლოგთა აკადემიის  
რეგიონალური მიმღებანი, გერმანიის თეატრინთლარინგოლოგის  
და თავისა და კისრის ქადაგის ასთციაციის წევრ-კორესპონ-  
დენტი, თეატრინთლარინგოლოგისა და თავ-კისრის ქადაგის  
საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსეულის თარიღისანი,  
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიუმის,  
მიუნისტა სახელმწიფო პრეზიდა. არის საქართველოს მეცნიერებათა  
უნივერსიტეტის აკადემიის ნამდვილი წევრი.

# ნინო ჩეხვიაშვილის გამომცემრობა



მისამართი:

თბილისი,

ლეიქურის 27

მ-2 სართ.

599746810

790746810

ნინო ჩეხვიაშვილის გამომცემრობა

უკრაინა-  
გაზათვაშის  
გამომცემრობა

აცყობა,  
დიზაინი,  
დაკაბადოვა